# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 26 თებერვალი. 2016 წ. №37 (7929), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!



## ბიძინა ივანიშვილი: ძვირფასეულობა, ჩასაცმელი, ან სხვა კომფორტი მე არ გამაჩნია...

3

## „ბედნიერი ერის“ შვილთა გოდება

7

კვლავ ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა?!

## „აფხაზეთი საშიშ ჩიხს მიადგა და გვირაბის ბოლოს სინათლეც არ ჩანს“

4



## ქართული „პოლიციის პოლიცია?!“



6

## გვჭირდება თუ არა ორი პროკურატურა?



4

## „მაიმუნი ყუმბარით“, ანუ უნდა ეშინოდეთ თუ არა ოსებს თიბილოვის?!

## რას მოგვიტანს გერმანული მოდელის დანერგვა?

7



## ცილისწამების მუხლის ამოღებისას, მედიის თავისუფლება გაითვალისწინეს

3

შრომითი მოვალეობის შესრულების დროს დაზარალებულები კომპენსაციით ისარგებლებენ

## მაღაროელებს 1 იანვრამდე არსებული შეღავათები შეუნარჩუნდებათ

5



## ქართული პასპორტის მფლობელთათვის 67 ქვეყნის კარი ღიაა

ქართული პასპორტის მფლობელთ ვიზის გარეშე მსოფლიოს 67 ქვეყანაში შეუძლიათ შესვლა, რის საფუძველზეც საქართველომ პასპორტების გლობალურ რეიტინგში — „სავიზო შეზღუდვების ინდექსი 2016“ 71-ე ადგილი დაიკავა.

რეიტინგს ყოველწლიურად კომპანია Henley & Partners-ი მსოფლიოს 219 ქვეყნის ვიზების გაცემის წესების საფუძველზე ადგენს. რეიტინგში პოზიციები იმ ქვეყნების რაოდენობით დგინდება, სადაც ამ პასპორტების მფლობელებს უვიზოდ შეუძლიათ შესვლა.



სავიზო საკითხი: 10 მთავარი მიმართულება საქართველოს მოქალაქეებისთვის საქართველოს რეიტინგში 71-ე ადგილი ბელარუსის, ყაზახეთის, გამბიის, მალავისა და სვაზილენდის გვერდით უკავია. რეიტინგის თანახმად, ამ ქვეყნების მოქალაქეებს უვიზოდ შესვლა მსოფლიოს 67 ქვეყანაში შეუძლიათ. ერთი პოზიციით ზევით არის საუდის არაბეთი და სამხრეთ აფრიკის ანკლავი ლესოტო.

რეიტინგის პირველი და მეორე ადგილი გერმანიასა და შვედეთს უკავიათ. მათი პასპორტები, შესაბამისად, 177 და 176 ქვეყნის კარს ხსნიან. მესამე ადგილზეა ხუთი ქვეყანა — ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი ლატვიას აქვს (მე-13 ადგილი). ამ ქვეყნის მოსახლეობას უვიზოდ შესვლა 163 ქვეყანაში შეუძლია. ერთი პუნქტით ქვევითაა ესტონეთი და ლიტვა.

mpress.ge

## „ევროკავშირი შესაძლოა, ნატომ ჩაანაცვლოს“




3

პოლიტიკური მომავალი




დევიდ კემერონი ევროკავშირს „ეფერება“...

# „ევროკავშირი შესაძლოა, ნატომ ჩაანაცვლოს“

**„დიდ ბრიტანეთს უნდა ჰქონდეს უფლება, არ შეასრულოს მისთვის მიუღებელი ევროდირექტივები“,** — ეს ევროკავშირიდან გასვლის მოსურნე ბრიტანელების მოთხოვნის ძირითადი პუნქტია.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იმ ფონზე, როცა ბრიტანელთა უმრავლესობა მხარს უჭერს გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროკავშირის დატოვებას, სრულიად განსხვავებულ პოზიციას ამჟღავნებენ ბრიტანული მსხვილი კომპანიების წარმომადგენლები. საქმე ისაა, რომ ბრიტანეთის მსხვილი კომპანიების ნახევარი ქვეყნის ევროკავშირში დარჩენის მომხრეა.

გამოცემა Financial Times-ი ადასტურებს, რომ 100 ყველაზე მსხვილი კომპანიის ლიდერები დიდი ბრიტანეთის ბლოკიდან გასვლას ეწინააღმდეგებიან და 23 თებერვალს ერთობლივი წერილის გავრცელებას აპირებენ, რომელშიც აღნიშნავენ, რომ დიდი ბრიტანეთი „უფრო ძლიერი, დაცული და აყვავებული“ იქნება რეფორმირებულ ევროკავშირში. აღნიშნულ კომპანიებს შორის არის ნავთობკომპანიები Shell, BP და Vodafone.

რას ნიშნავს ბრიტანული მსხვილი კომპანიების მოთხოვნა და მოახერხებენ თუ არა ისინი მომხრეთა გადაბირებას ქვეყნის ევროკავშირში დარჩენის თვალსაზრისით?

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ დიდი ბრიტანეთის მსხვილი კომპანიების მოთხოვნამ შესაძლოა, ამ ეტაპზე გადასძალოს, თუმცა, საბოლოოდ, უკვე აშკარად ჩანს, რომ დიდი ბრიტანეთი არ წარმოადგენს ევროკავშირის გრძელვადიან წევრს.

**„რასაკვირველია, ბრიტანულ მსხვილ კომპანიებს სურთ ევროკავშირში დარჩენა, რადგან მათ არ ხვდებათ წინააღმდეგობა, მათ გააჩნიათ ერთიანი ბაზარი და ერთიანი თამაშის წესები. ბუნებრივია, ბრიტანული ბიზნესისთვის ფართო სივრცე გაცილებით მომგებიანია, ვიდრე მხოლოდ ბრიტანეთის საკმაოდ შეზღუდული არეალი. ზოგადად, მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოა, ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან ამ კავშირის დასასრულის დასაწყისი იქნება. ბრიტანეთი მაინც უფრო ამერიკის პარტნიორია, ვიდრე — ევროკავშირის. ამიტომაც ევროკავშირი ყველა დათმობაზე წავიდა, რაც კი მოითხოვა ბრიტანეთმა. ქემერონმა ბოლო შეხვედრაზე იმაზე მეტს მიაღწია, ვიდრე მოელოდა. შეიძლება, ამ ფაქტმა დადებითად იმოქმედოს და ამ ეტაპზე ბრიტანეთი არ გავიდეს ევროკავშირიდან, თუმცა, ეს მხოლოდ დროის ფაქტორია, საბოლოო ჯამში, ბრიტანეთი აუცილებლად დაასრულებს ევროკავშირში ფორმალურ ყოფნას“,** — აღნიშნა დემურ გიორხელიძემ.

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე აცხადებს, რომ ევროკავშირს რღვევის საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ პროცესები თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ევროკავშირი ჩაანაცვლოს ნატომ, თანაც ჩაანაცვლოს სრულფასოვნად.

**„სხვათა შორის, სულ ახლახანს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ქემერონმა ასეთი შეფასება გააკეთა: ევროკავშირმა თავისი თავი ამოწურა და საჭიროა, მისი სხვა ფორმატში, ნატოს ფორმატში გადასვლა, რადგან ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო ბლოკიო. ანუ ლაპარაკი არის არა მარტო იმაზე, დარჩეს თუ არა ბრიტანეთი ევროკავშირში, ლაპარაკია უფრო ძლიერი ფორმატის შექმნაზე. მოგეხსენებათ, რომ ნატოს წევრი არის კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები და უნდა შეიქმნას უფრო მსხვილი და უფრო ძლიერი ერთობა. ყოველ შემთხვევაში, ქემერონის ეს განცხადება ამის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, არის მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთი ყოველთვის უფრო რადიკალურად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნები. მაგალითად, საფრანგეთი ყოველთვის თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირთან. გერმანია თავისი მდგომარეობის გამო ორად იყო გაყოფილი და იძულებული იყო მანევრირება განეხორციელებინა, ბრიტანეთი კი გაცილებით რადიკალური იყო. ბრიტანეთი თავს მიიჩნევდა დასავლური სივრცის ლიდერად (ამერიკის გამოკლებით). დღეს, როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა. 90-იანი წლების შემდეგ გერმანიამ შეძლო ის, რაც ვერ გააკეთა ჰიტლერმა — გერმანია, ფაქტობრივად, ხდება კონტინენტური ევროპის ლიდერი, რაც, გარკვეულწილად, საფრთხეს უქმნის ინგლისის არსებობას. ამიტომაც ინგლისი ცდილობს, შეინარჩუნოს ზეგავლენა და თავისი როლი გააძლიეროს ევროპაში“.**

რაც შეეხება ბრიტანული მსხვილი კომპანიების სურვილს ევროკავშირში დარჩენის თაობაზე, პოლიტოლოგი თვლის, რომ საეჭვოა, ასე კონტრასტულად იყოს დაყოფილი ბრიტანული საზოგადოება. თუმცა, იმ ფაქტს, რომ ბრიტანული უმსხვილესი კომპანიები ევროკავშირში დარჩენას მოითხოვენ, ბრიტანული საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერა მოჰყვება.

**მანანა ნოზაძე**

## ცილისწამების მუხლის ამოღებისას, მედიის თავისუფლება გაითვალისწინეს

**თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ ცილისწამება სისხლის სამართლის კოდექსში არ უნდა დაბრუნდეს. საკრებულოს დეპუტატ თედო კობახიძის ინიციატივის შეფასებისას სესიაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ცილისწამების მუხლით დასჯადობა კოდექსიდან მედიის თავისუფლების გამო ამოიღეს. „მსოფლიოში ცილისწამება რომ დასჯადი იყოს, ეს გარკვეულ პრობლემას შეუქმნიდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. მაშინ, როცა ეს ცვლილება განვახორციელეთ და ამოვიღეთ ეს მუხლი, პირველ რიგში გავითვალისწინეთ მედიის თავისუფლება“,** — განაცხადა სესიაშვილმა.

## ბიძინა ივანიშვილი:

# ქვირფასეულობა, ჩასაცმელი, ან სხვა კომფორტი მე არ გამაჩნია...

ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „ჯიდიესის“ დოკუმენტურ ფილმში ისაუბრა მიმდინარე აქტუალურ საკითხზე, მათ შორის ხეების გადარგვასთან დაკავშირებითაც. მისი განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის პერიოდში ხშირად ურეკავდა მას სხვადასხვა საკითხზე და ერთ-ერთი იყო თბილისის და ბათუმის ბოტანიკური ბაღები და მათი პრივატიზაცია:

„სააკაშვილი ხშირად მირეკავდა თბილისის ბოტანიკურ ბაღზე. მერე ბათუმიც მოაბა თბილისს. ვერ გავიგე, რა უნდოდა დიდხანს. მერე ვკითხე, რა გინდა-მეთქი!.. გამაწვალა, რამდენიმე ზარი ზედმეტად გააკეთა. გასხვისება უნდოდა, ერთის თუ მეორის, თუ რაღაც გეგმები ჰქონდა. მე ვუთხარი, რომ ეს არის საერთო მოხმარების და არ შეიძლება ამაზე საუბარი, მე ამ საუბარში არ შემოვალ-მეთქი. ბოლო-ბოლო, რა გინდაო, ერთ-ერთი აირჩიეო, ერთი შენი იყოს, ერთი — ჩვენიო. რა უნდა იყოს შენი, ან ჩვენი? გინდა, თბილისის აირჩიე, გინდა, ბათუმისო... მე ვუთხარი, როგორ ვიკადრებ, ბოტანიკური ბაღი გავითავისო. მერე მეორე კუთხიდან მიუდგა, მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, გადმომირეკა, რომ ჩვენ გვინდა ბაღის პრივატიზაცია, და შენც თუ მიიღებ პრივატიზაციაში მონაწილეობას... მე ვუთხარი, რომ მე არ მივიღებ, მაგრამ თუ შევხედავ, რომ უხეშად რაღაცას აკეთებთ, რომ მათი ფუნქცია იკარგება, ასეთ შემთხვევაში მივიღებ, ვიყიდი, მაგრამ იმ წუთშივე სახელმწიფოს დავუბრუნებ საჩუქრად, მეტი საუბარი მე არ მქონია. მერე, აჭარაში ამბობდნენ ჭორად, რომ მას უნდოდა რეზიდენციის აშენება, რაღაც სახლების ჩადგმას აპირებდნენ. **საკმაოდ დიდი გავლენა მქონდა მაშინ მთელ მთავრობასა და პარლამენტზე, დასამალი აღარ არის, რამდენჯერმე ითქვა. მე ამას ვმალავდი, რომ ვეხმარებოდი. მგონია, რომ ეს პროცესი შევაჩერე.**

კონკრეტულად რაც შეეხება ამ ხეებს და ბუნებასთან დაკავშირებულ თემებს, როდესაც გაჭირვებულ ქვეყანაში ასეთ რაღაცებს აკეთებ, მაინც ჩემი მხარდამჭერებისთვის და ხალხისთვის ვაკეთებ, იმათთვის ვაკეთებ, ვისაც პატივს ვცემ და ვინც პატივს მცემს... განმარტებასაც გავაკეთებ, რომ მე ფუფუნებით არ ვცხოვრობ, ძვირფასეულობა, ჩასაცმელი ან სხვა კომფორტი არ გამაჩნია ისეთი, რომ მოგერიდოს, მე მაქვს ეს გატაცება, არც ერთ შემთხვევაში თავს უფლებას არ მივცემ, რომ ამით ვინმე დავაზიანო. კითხვას, ვისაც გააჩნია, მე ვეთანხმები, რომ შეიძლება გადაჭარბებული იყოს, ამდენ თანხას რომ ვხარჯავ ხეების გადატანაში, დარგვასა თუ ჩამოტანაზე...




## შრომითი მოვალეობის შესრულების დროს დაზარალებულები კომპენსაციით ისარგებლებენ

**მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესში“.**

ამ წესის თანახმად, სოციალური დახმარების მიღების უფლება (სხვა კატეგორიებთან ერთად) მოპოვებული აქვთ იმ პირებს, რომელთაც დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება „ჟინვალის სამშენებლო სამმართველოში“, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. თუმცა, კომისიას მომართეს მოქალაქეებმა, რომელთაც ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის თაობაზე ვერ მოიპოვეს სასამართლო გადაწყვეტილება და უარი ეთქვათ დახმარების დანიშვნაზე. სანაცვლოდ, მათ აქვთ სხვა დოკუმენტაცია, (საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანება, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი, სადაც მითითებულია მიზეზობრივი კავშირი — პროფესიული დაავადება ან შრომითი დასახიჩრება და პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული უბედური შემთხვევის აქტი, სადაც მითითებულია დამსაქმებლის ბრალეულობა და სხვა). „ჟინვალის სამშენებლო სამმართველოში“ დაზარალებულთა მიმართ ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც ზემოხსენებული პირები ისარგებლებენ შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების მიღების უფლებით.




**მთავრობა ასევე დაეთანხმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მიერ წარდგენილ განკარგულების პროექტს, რომელიც სოფელ როშკაში კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრის მშენებლობას ითვალისწინებს. ცენტრში განთავსდება სავაჭრო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, აფთიაქი, ფოსტა, ბიბლიოთეკა და ა.შ.**

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა 27 თებერვალს გაიმართება

**საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა 2016 წლის 27 თებერვალს 16 საათზე საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში (თბილისი, მ.აბდუშელიშვილის ქ.1) გაიმართება.**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საქართველოს სამხედრო ძალების სტრუქტურის განხილვა.

მომხსენებლები: საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი;

საქართველოს გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე.

„ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს სამხედრო ძალების სტრუქტურას და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს. საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან საბჭოს მუდმივი წევრები.

## ანა დოლიძე უზენაესის მოსამართლე გახდება?

**საქართველოს პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატად ანა დოლიძის კანდიდატურა წარადგინა. მას ამ დრომდე თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.**

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინათ პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ლევან მურუსიძეს შეუწყვიტა უფლებამოსილება. სწორედ ამის გამო გახდა სავალდებულო ახალი კანდიდატის წარდგენა.



„ეს არის ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში გამოირჩეოდა პრინციპულობით უსამართლობასთან ბრძოლაში, პროფესიონალიზმით, უშიშარი პოზიციით, ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმეზე – გირგვლიანის საქმეზე, წინა ხელისუფლების დროს," – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

## გია ჟორჟოლიანი: ბატონ ბიძინა ივანიშვილთან სპეციალური შეხვედრის არავითარი საჭიროება არ არსებობს



**საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი გია ჟორჟოლიანი ამბობს, რომ კოალიციის გაფართოებულ შეხვედრაზე, სადაც ბოლო დროს დაგროვილი პრობლემები და მათ შორის შიდა დაპირისპირებები უნდა განიხილონ, ბიძინა ივანიშვილის დასწრება სავალდებულო არ არის.**

ეს გია ჟორჟოლიანმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

## ისრაელის კომპანია BRIMAG საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით დაინტერესდა

**საპარტნიორო ფონდში სამუშაო შეხვედრა გამართა ისრაელის კომპანია BRIMAG-ის პრეზიდენტმა შაულ ზილბერშტეინმა.**

ისრაელში ერთ ერთი უმსხვილესი ტექნიკის მაღაზიების ქსელის მფლობელი BRIMAG „ელიტ ელექტრონიქსის" ინვესტორია.

საპარტნიორო ფონდის ცნობით, შაულ ზილბერშტეინმა ფონდის მენეჯმენტისგან მოისმინა ინფორმაცია საქმიანობის სფეროებისა და სტრატეგიის შესახებ. კომპანია დაინტერესებულია ახალი ერთობლივი ბიზნესების განვითარებით საქართველოში და ამ კუთხით საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით.

ტექნიკის მაღაზიათა ქსელი BRIMAG ჰოლდინგური კომპანიაა, რომელსაც 70-ზე მეტი ტექნიკის მაღაზია ისრაელში და ასევე ინდოეთშიც აქვს. კომპანიის აქციები კვოტირებულია თელ-ავივის საფონდო ბირჟაზე.

## რატომ ჩნდებიან საეჭვო პერსონები

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მთავარ პროკურატურას საქმეების დროულად გამოძიებისკენ მოუწოდებს.**

**როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, არსებობენ ძალები, რომლებიც მის წინააღმდეგ ბინძურ კამპანიას აწარმოებენ.**

მისი თქმით, სამწუხაროდ, არც პროკურატურაში, არც შსს-ში, არც სუს-ში არ მომხდარა თავიდან ბოლომდე ძველი კადრების წმენდა.

**„რაღაც ძალების წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებენ, რომ მათ არ სურთ მომავალ პარლამენტში მნახონ, ეს მიზანი აქვთ მათ და ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული ამით? მე არ გამოვრიცხავ თუნდაც იმ ადამიანებს, რომლებიც შესაძლებელია დღესაც არიან ძალოვანი უწყების თანამშრომლები. თქვენ იცით, რომ არც პროკურატურაში, არც შსს-ში, არც სუს-ში არ მომხდარა თავიდან ბოლომდე წმენდა ძველი კადრების. ეს არის სამწუხარო რეალობა, როდესაც ყოფილი პოლიციელები, რომლებიც პირდაპირ იყვნენ დაკავებულები ადამიანის უფლებების დარღვევით, ძალიან მძიმე საქმეებთან ჰქონდათ შეხება, სამწუხაროდ, დღესაც არიან ამ სისტემაში და ეწინააღმდეგებიან ისეთი საქმეების გამოძიებას, რომელიც შესაძლებელია იყოს მათთვის პრობლემური. ეს მათ არ აწყობთ და შესაბამისად, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ასეთი საქმეები არ იყოს გამოძიებული. მე ამას დაბეჯითებით ვამბობ. 3 წელია, ჭიანურდება ე.წ. კოკაინის საქმის გამოძიება. მე ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ მთელ ამ სკანდალში ვინც ზარალდება, ესენი არიან პატიმრები",** – განაცხადა მანანა კობახიძემ.

მისი თქმით, ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულებს შორის აქტიურად განიხილავენ ანასტასია ზაუტაშვილის საკითხს, როდესაც საქმეზე კიდევ 3 ადამიანია დაპატიმრებული.

**„ესენი არიან გიორგი ჩეჩელაშვილი, მევლუდ სვანიძე და რომან მესულიანი. ისინი ასევე ითხოვენ, რომ მათი საქმე იყოს გადასინჯული. ისინი ითხოვენ იმ ძალიან მძიმე საპროცესო დარღვევებზე რეაგირებას, რომელიც არის ამ საქმეში. იმავეს ითხოვს ნუგზარ ბოჭორიშვილი, რომელიც დღეს არ არის საქართველოში, თუმცა მის მიმართაც დღემდე ძალაშია განაჩენი. სამწუხაროდ, გამოძიება იმ ფუნდამენტურ დარღვევებზე, რომელიც იყო ამ საქმეში ჭიანურდება და რეალური შედეგი არ დგება.**

**როგორც ჩანს, ვიღაცას არ აწყობს**



**ამ საქმის და კიდევ არაერთი საქმის გამოძიება, რომელიც პრობლემურია. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ ბინძური ჭორის აგორება ყოფილიყო ძალოვნების, ან ამ წუთში ძალოვან სტრუქტურაში დასაქმებული ადამიანების მიერ მოწყობილი. ამ საქმის პროკურორი დღემდე არის პროკურატურაში. რამდენჯერაც გააქტიურდება ქალბატონი ზაუტაშვილი, იმდენჯერ ჩნდება საეჭვოდ ახალი პერსონაჟი, რომელიც ცდილობს ახალი რაკურსით ტალახის სროლას ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების მიმართ. მე ვაპირებ ბოლომდე მივყვე".**

მისივე თქმით, გაუგებარია ისიც, თუ რატომ არ მოხდა ალეკო ელისაშვილის საქმის გამოძიება ამ დრომდე.

**„ელისაშვილის საქმეც არ არის ის საქმე, რომ ამდენ ხანს გრძელდებოდეს გამოძიება. მინდა, მივმართო პროკურატურას, დროულად დასრულდეს ეს გამოძიება, ეს არ არის იმ სირთულის საქმე, რომელსაც რამდენიმე თვე და ერთი წელი სჭირდება. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, სად არის სიმართლე, სხვა შემთხვევაში ზარალდება ხელისუფლება იმ ცილისწამებებით, რომელიც სპეციალურად კამპანიურად არის აგორებული „ქართული ოცნების" წინააღმდეგ,"** – განაცხადა კობახიძემ.

◉ პასუხი ყველას უნდა მოეთხოვოს

# „თუ ბიზნესმენმა პირობები ვერ შეასრულა, კიდევ უნდა დააჯარიმო და ქონებაც უნდა ჩამოართვა"

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის – „აფბას" ანალიტიკოსი მერაბ ჯანიაშვილი ნაცმოძრაობას კორუფციული ნიშნების შემცველ საპრივატიზაციო გარიგებებში ადანაშაულებს და ნაციონალების მიერ 1 ლარად გადაცემული ყველა ქონების მიზნობრიობის გამოკვლევას მოითხოვს.**

ნაცმოძრაობაში ყოფნის დროსაც და მას შემდეგაც, ახალ-ახალი ფაქტები იკვეთება, თუ როგორ ასხვისებდნენ სახელმწიფო ქონებას წინა ხელისუფლების წარმომადგენლები. ამის შესახებ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. საუბარია იმაზე, რომ ძალიან ძვირად ღირებული, რამდენიმე მილიონ დოლარად შეფასებული ქონება გადაცემულია ერთ ლარად, ანუ პირობით ფასად უცნობი კომპანიებისთვის, ოფშორული ფირმებისთვის. სულ ახლახან ერთი ამბავი ატყდა ციხისძირში სანერგე მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიის მფლობელობის შესახებ, რომლის ირგვლივაც ინფორმაცია არ იძებნება. არადა, მაშინდელი პრეზიდენტის განკარგულებით, ამ ადამიანებს 2011 წელს დაახლოებით 9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ქონება ერთ ლარად გადაეცათ, თანაც, არანაირი საინვესტიციო ვალდებულებით.

ვიცით მხოლოდ ის, რომ მისი მფლობელი ოფშორშია დარეგისტრირებული. მაშინდელი ლოგიკა ასეთი იყო, რომ კომპანიას ან პირს ინვესტიციის ჩადების პირობით დაბალ ფასად აძლევდნენ ქონებას. თუმცა ბევრი ისეთი ფაქტიც გვხვდება, როდესაც კომპანიას გადაეცა ფართები და არანაირი ვალდებულება არ აქვს. ეს არის უბრალოდ სახელმწიფო ქონების ჩუქება, სახელმწიფო ქონების განიავება. ცხადია, აქ კორუფციული გარიგების სერიოზული საშიშროებაა. ამიტომაც მივმართეთ ხელისუფლებას, ყველა ასეთი ფაქტი გამოიძიოს. ერთ ლარად გადაცემული ყველა ქონების მიზნობრიობის გამოკვლევა აუცილებელია.

**– ახლანდელმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმაც განაცხადა, რომ გამზადებულია ასამდე უძრავი ქონება, რომელიც ერთ ლარად უნდა გადაეცეთ მეწარმეებს. ესეც ქმნის საშიშროებას, რომ ქონების უფასოდ გადაცემის ფაქტი არ გაამართლებს?**

– განსხვავება ისაა, რომ თუ, მეწარმეს პირობითად, ერთ ლარად, ანუ ძალიან იაფად აძლევ ქონებას, მას უწესებ ვალდებულებას, რომ ამ ტერიტორიაზე ქარხანა ააშენოს და ადამიანები დაასაქმოს. ვთქვათ, სამი წლის მანძილზე მან უნდა დააბანდოს, მინიმუმ, 50-მილიონიანი დოლარის ინვესტიცია და დაასაქმოს 200 ადამიანი. ასე თუ ხდება, მისასალმებელია, მაგრამ როცა აძლევ ქონებას ერთ ლარად და არანაირ ვალდებულებას არ ამატებ, რომ იქ რაიმე ააშენოს, ინვესტიცია ჩადოს, ვინმე დაასაქმოს, ეს უბრალოდ ჩუქებაა.



**– ადრე ამ თემაზე ჯონდი ბაღათურია აქტიურობდა, რომ სააკაშვილმა ხელისუფლებაში ყოფნისას დედამისს, გიული ალასანიას 200 მილიონი ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება ძირითადად, ერთ ლარად გადასცა. ჩამონათვალში მოხვდა „შავი ზღვის უნივერსიტეტიც", რომლის შესახებაც ჯონდი ბაღათურია აცხადებდა, რომ ეს უნივერსიტეტი რადიკალ-ისლამური დაჯგუფების ერთ-ერთი ხელმძღვანელის ფეთჰულაჰ გიულენის კაპიტალით შეიქმნა. გარდა ამისა, გიული ალასანიას მონოპოლიის დამადასტურებლად მთელი ჩამონათვალი არსებობდა – დემირელის სახელობის კოლეჯი და საბავშვო ბაღი, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი, თბილისის სკოლა-ლიცეუმი, მარნეულის უნივერსიტეტის ენათა ცენტრი და სხვა, რის შესახებაც სარჩელები პროკურატურაში წლებია, დევს.**

– ეს ფაქტები მეც მახსოვს, რომ სააკაშვილის დედას ან მასთან ასოცირებულ პირებს სიმბოლურ ფასად გადაეცათ რამდენიმე შენობა. თუმცა, ეს მექანიზმი შეიძლება გამოყენებულ იქნას, ერთი მხრივ, ბიზნესაქტივობის წასახალისებლად და მეწარმეების ხელშესაწყობად, რომ მათ ინვესტიციები განახორციელონ და, მეორე მხრივ – პირადი ინტერესებისთვის, როდესაც აფინანსებ და ჩუქნი სახელმწიფო ქონებას შენთვის ახლობელ ადამიანს. ამ შემთხვევაში, სწორედ მეორე ფაქტთან გვქონდა ადგილი, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი საკუთარ ახლობლებს ნაგებობებს ერთ ლარად ჩუქნიდა. ამიტომ ერთლარიანი ქონების გასხვისების საქმეები თავიდან ბოლომდე გადასახედია. როდესმე მაინც ხომ უნდა ვიცხოვროთ სამართლიან ქვეყანაში?! თუ ასეთი უსამართლობა არ აღმოვფხვარით, ვერც ვერასდროს ვიცხოვრებთ ასეთ გარემოში.

**– ბოლო დროს ბევრს საუბრობენ მიტაცებული ქონების დაბრუნებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორისთვის ერთ ლარად გადაცემულმა ქონებამ არ გაამართლა, უნდა დაუბრუნდეს თუ არა იგი სახელმწიფოს? უნდა ჩაითვალოს თუ არა ეს ადამიანის მოქრთამვად, როგორც ეს მოხდა ნინო ბურჯანაძის შემთხვევაში, როცა ერთ ლარად გადაცემული წყნეთის აგარაკი პოლიტიკური გზების გაყოფის შემდეგ სააკაშვილმა ისევ დაიბრუნა.**

– როგორც მახსოვს, ნინო ბურჯანაძის აგარაკი მაშინ მილიონნახევარ ლარად იყო შეფასებული, თუმცა ერთ ლარად მიცემული ეს აგარაკი ბურჯანაძეს ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ჩამოართვეს. ეს მიანიშნებს, რომ ვინც მათ მიმართ ლოიალური, ან მათი გუნდის წევრი იყო, უფასოდ შეეძლო მიეღო მილიონიანი ღირებულების ქონება, ხოლო, ვინც მათ წინააღმდეგ გამოდიოდა, არა მხოლოდ ერთ ლარად ვერ მიიღებდა ქონებას, არამედ პატიოსნადაც რომ მიელო ტენდერში მონაწილეობა, იქაც ვერ გაიმარჯვებდა. ასეთი უამრავი ფაქტი იყო. ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა დაისაჯონ ის მეწარმეები, ვინც ვერ შეასრულა თავიანთი საინვესტიციო ვალდებულებები. აქ არ არის საუბარი მარტო ერთ ლარად გადაცემულ ქონებაზე. ყველას უნდა მოვთხოვოთ პასუხი, ვისაც ხელშეკრულებით გაწერილი ჰქონდა თანხების ჩადება, ხალხის დასაქმება, მაგრამ წლების განმავლობაში ამას არ აკეთებდნენ.

მე ვიცი, რომ ბევრ ასეთ ბიზნესმენს გადაუვადეს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები, ზოგსაც ჯარიმები ჩამოაწერეს. ამ დროს მცირე მეწარმემ რომ დაუშვას ამ ტიპის შეცდომა, შემოსავლების სამსახური არც ერთ შემთხვევაში არ აპატიებს და მკაცრად დააჯარიმებს. მსხვილი ბიზნესმენები იმიტომ იძვრენენ ხოლმე თავს, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული არიან და პირადი კონტაქტებით ითხოვენ, იქნებ, გადაგვივადოთ საინვესტიციო ვალდებულებები, ან ჯარიმები ჩამოგვაწეროთო. ეს არასამართლიანია. **თუ ვერ შეასრულა ბიზნესმენმა შეღავათიანი პირობები, მაშინ კიდეც უნდა დააჯარიმო და ის ქონებაც უნდა ჩამოართვა და გადასცე იმ ბიზნესმენს, ვინც ვალდებულებას შეასრულებს.**

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

დენი მუქთაა, პრობლემები – თავზესაყრელი!

# „აფხაზეთი საშიშ ზღვარს მიადგა და გვირაბის ბოლოს სინათლეც არ ჩანს“



**„მიმდინარე ზამთრის ენერგეტიკული კრიზისი აფხაზეთში მეტყველებს მოახლოებულ პრობლემებზე, რომელთა მასშტაბი ბევრად დიდია“ – წერს „Eurasia Daily“.**

როგორც სტატიაშია აღნიშნული, „აფხაზეთის ენერგეტიკული სისტემა საბჭოთა დროიდან ქართულის ნაწილია, ბოლო ოცზე მეტი წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურა საგრძნობლად მოძველდა, ერთი მხრივ იმიტომ, რომ დენი აფხაზეთში, ფაქტობრივად, მუქთაა, მეორე მხრივ კი – იმიტომ, რომ საბჭოთა პერიოდთან შედარებით, მისი მოხმარება საგრძნობლად გაიზარდა“.

**„ენერგიის არანაირი ალტერნატიული წყარო ქვეყანაში არ არის, ხოლო დაბალმა ღირებულებამ და იმან, რომ გადახდა სავალდებულო არ არის, ენერგოდაზოგვის კულტურა მოსპო და ადრე თუ გვიან, „ენერგეტიკული კომუნიზმი“ უნდა დასრულებულიყო. თეორიულად, განკარგულებაში იყო 10-15 წელი, რომელთა განმავლობაშიც შესაძლებელი გახლდათ, ნაწილობრივ მაინც მოხსნილიყო აფხაზეთის ტოტალური დამოკიდებულება საქართველოს სასაზღვრო რაიონში მდებარე ენგურჰესზე. სხვათა შორის, სწორედ ასე მოიქცნენ თავად საქართველოში, სადაც სადღეისოდ ენგურის ჰიდროელექტროსადგური ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა უალტერნატივო მწარმოებელია. საქმეზე კი ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა. ომის დასრულებისთანავე, 1990-იანების შუა პერიოდში, როდესაც ხელისუფლებამ უარი თქვა წესრიგის მკაცრი მეთოდებით დამყარებაზე, მაროდიორებმა სხვა ყველაფერთან ერთად, არაერთი მცირე ჰიდროელექტროსადგურიც გაანადგურეს. ერთადერთი ენერგეტიკული პროექტი, რომელიც შეიძლებოდა ამუშავებულიყო, სოხუმის ჰესი გახლდათ, რომელიც აფხაზეთის დედაქალაქის თავზე, მთებში მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მისი სიმძლავრე ენგურჰესის სიმძლავრის სულ რაღაც 1,5%-ს შეადგენს, კრიტიკულ მომენტებში ამ წყაროს მუშაობა სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ სადგური ექსპლუატაციაში გაშვებისთვის მზად არ არის. მისი საბოლოო აღდგენა მთელი რიგი დაურეგულირებელი საკითხების გამო შეფერხდა“** – ნათქვამია სტატიაში.

როგორც ავტორი აღნიშნავს, „ენერგეტიკულ კრიზისში ერთადერთი დამნაშავე აფხაზეთის ხელისუფლებაა – არა კონკრეტულად ამჟამინდელი ან მისი წინამორბედი, არამედ მთლიანობაში სახელისუფლებო სისტემა, რომელიც იქ ათ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ ჩამოყალიბდა“.

**„ერთი დიდი მცდელობა აუცილებელი რეფორმების გაუთავებელი გადადებისა, კონიუნქტურის საწინააღმდეგოდ სვლის უსურვილობა, ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ტოტალური ჩაძირვა – ამ ყველაფერმა ქვეყანას განვითარების პერსპექტივა მოუსპო. ამჟამინდელი ხელისუფლება აგრძელებს სვლას ამავე მიმართულებით, ეს კი ნიშნავს, რომ უნდა ველოდოთ მეტ პრობლემას და მეტ კრიზისს და ამჟამინდელი – ენერგეტიკული კრიზისი მხოლოდ მაცნეა იმ კოლოსალური პრობლემისა, რომელიც აფხაზეთში მწიფდება. ესაა ინფრასტრუქტურების ცვეთა. პრინციპში, სრულდება ეპოქა, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ცხოვრება საბჭოთა დროს შექმნილი ინფრასტრუქტურული ფონდის ამორტიზაციის ხარჯზე. აქ მარტო ენერგეტიკაზე არ არის საუბარი: გზები, ხიდები, კანალიზაცია, წყალმომარაგება – ყველაფერი თვალწინ ინგრევა. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმში კომუნალური სამსახურები ბუკვალურად ორმოებიდან არ ამოდიან და გაუთავებლად მიმდინარეობს შეკეთებითი სამუშაოები, ქალაქი ნელ-ნელა იშლება: სანამ ერთ რაიონში აგებენ ფილაქანს, მეორეში გზა ირღვევა. სანამ ერთ ქუჩაზე ასფალტირების სამუშაოები მიდის, სხვებზე გზის სავალი ნაწილი იმდენად გამოდის მწყობრიდან, რომ მასზე სიარული უკვე ფიზიკურად შეუძლებელია“,** – წერს სტატიის ავტორი.

**„არსებითად, სიტუაცია ასეთია: აფხაზეთი ინფრასტრუქტურულ კოლაფსს უახლოვდება და ეს ათვლის ძალზე მნიშვნელოვანი წერტილია უახლოესი მომავლის პოლიტიკური რყევების პროგნოზირებისა და ანალიზისთვის. ინფრასტრუქტურაში მრავალმილიონიანი შენატანების გარეშე ვითარების გამოსწორება შეუძლებელია, მაგრამ ამხელა ფულის შოვნა – ასევე შეუძლებელი, მით უფრო, რომ გარე ბაზრებზე კრიზისი მძაფრდება. ამხელა ფულის მოპოვება რომ თეორიულად მაინც ყოფილიყო შესაძლებელი, მათი ინფრასტრუქტურაზე დახარჯვას აზრი მაინც არ ექნებოდა, რადგან არ იარსებებდა ფული მისი შემდგომი მომსახურებისთვის – რადგან არ არსეობს ეკონომიკა, რომელსაც ძალუძს, გამოიმუშავოს შესაბამისი თანხები. ეს გლობალური ჩიხია. ერთი სიტყვით, ახლა მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ აფხაზეთი ძალზე საშიშ ზღვარს მიუახლოვდა, დაუსრულებელ გვირაბს, რომლის ბოლოს სინათლე არ ჩანს“,** – ნათქვამია სტატიაში.

**„რადგან მოსახლეობის შემოსავლის ერთადერთი შთაგონებადი წყარო იქნება ტურიზმი, შედარებით ნორმალურად ცხოვრებას მხოლოდ ორი-სამი ქალაქი და ორი რაიონი შეძლებს. ეს გააუარესებს კრიმინოგენურ მდგომარეობას, შიდა სამიგრაციო პროცესებს და შექმნის დამატებითი პრობლემების წყებას. სახელმწიფო, როგორც ქვეყნის ცხოვრების მოდერატორი, ამ და სამართლებრივი კულტურის არარსებობის პირობებში კარგავს თავის ძირითად ფუნქციებს და მთავარი – ზეგავლენას. კრიტიკულად ხშირად ცვლადი რეჟიმები მხოლოდ ერთზე დაიწყებენ ზრუნვას: წაგლიჯონ რაიმე მაინც, სანამ ქვეყნის სადავეებთან იქნებიან, რათა პერსონებმა, რომლისგანაც მმართველი გუნდი შედგება, საკუთარი თავისა და ოჯახებისთვის მცირე საცხოვრებელი მარაგის შექმნა მაინც შეძლონ. იქნება სერიოზული პრობლემები გარე სამყაროსთან დაკავშირებითაც. სახელმწიფო ინსტიტუტები აღარ იქნება აღქმადი, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების წყარო. ქვეყნის შიგნით ხელისუფლების ლეგიტიმურობის სრული დაკარგვა ძალიან სწრაფად დაანგრევს უსაფრთხოების სისტემას და სამართალდამცავი სისტემის შესაძლებლობას, ელემენტარულ დონეზე მაინც უზრუნველყოს სამოქალაქო წესრიგი. ერთი-ორი გადატრიალება ცვლილებების იმედით, რომელიც არ მოიხდება და საზოგადოება აითვისებს თამაშს „საპრეზიდენტო სავარძლების ფანჯრიდან გადასროლა სპორტული გართობისთვის“. ეს სახელმწიფოს „განჰერმეტიზაციაა“. ხოლო ენერგეტიკული კრიზისი, რომლიდანაც პრინციპში, გამოსავალი არ არსებობს, მაგრამ შესაძლებელია, გადადო რუსეთსა და საქართველოსთან მათხოვრობის გზით – ეს ამ კოლაფსის მტკიცებულებაა. ახლა კრიზისიდან გამოსვლის მოდელის ორ-სამ აბზაცში წარმოდგენის მცდელობა დემაგოგია იქნებოდა. ადვილი გზები აქ არ არსებობს. ზოგადადაც, გზა ჯერჯერობით არ ჩანს. ერთადერთი იმედი და ეს – ირონიის გარეშე, აფხაზური საზოგადოებაა. იგი ცოცხალია, რიგით ადამიანებს შორის კრიზისის მასშტაბების აღქმის დონე არსებობს. თუ ორგანიზმი ცოცხალია, მას სჩვევია თვითგადარჩენა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში აფხაზეთში წარმოქმნილმა ცხოვრების მოდელმა საკუთარი თავი ამოწურა, თანაც სრულად. როდესაც აფხაზეთი გამოვა ამ კრიზისიდან, ასე, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ის სულ სხვა აფხაზეთი იქნება – კონკრეტულად როგორი, ჯერ-ჯერობით შეგვიძლია, მხოლოდ წარმოვიდგინოთ“,** – დასძენს სტატიის ავტორი.

ინფორმაცია

## ქართული მხარე სოხუმს დამატებით ელექტროენერგიას შეღავათიან ფასში აწვდის



**ქართული მხარე ოკუპირებულ აფხაზეთს 1 აპრილამდე დამატებით ელექტროენერგიას შეღავათიან ფასში აწვდის, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მარიამ ვალიშვილმა განუცხადა. მისი თქმით, აფხაზეთს მინიმუმ ერთი თვით ჩაბნელება ემუქრებოდა, თუმცა ქართულმა მხარემ გამოხატა კეთილი ნება და ეს პრობლემა გადაიჭრა.**

მედიანიუსი

გასათვალისწინებელი შეფასება

# „მაიმუნი ყუმბარით“, ანუ უნდა ეშინოდეთ თუ არა ოსებს თიბილოვის?!

**„წავიკითხე რა ინფორმაცია სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვის მორიგი ინიციატივის შესახებ რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, გამიჩნდა სურვილი, შევახსენო მას, რომ უმჯობესი იქნება, შეეშვას თავისი თავისა და რესპუბლიკის საკუთარი ხელით განადგურებას. მაგრამ მერე თიბილოვის კიდევ ერთ განცხადებას წავაწყდი იმის შესახებ, რომ „ახალი სამედიცინო დაწესებულების ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ რესპუბლიკის მოსახლეობა გათავისუფლდება აუცილებლობისგან, გავიდეს სამხრეთ ოსეთიდან, მათ შორის – საქართველოში მაღალტექნოლოგიური მეთოდებით გამოკვლევების ჩასატარებლად“.** ამ დროს მივხვდი, რომ თიბილოვის განცხადებებზე რეაგირება საკუთარი თავის უპატივცემულობაა, ვინაიდან ეს ადამიანი, როგორც ჩანს, ან პათოლოგიური მატყუარაა, ან უბრალოდ ვერ აცნობიერებს თავისი სიტყვების მნიშვნელობას.

რა სამედიცინო ცენტრიც არ უნდა ააშენონ სამხრეთ ოსეთში, რესპუბლიკის მცხოვრებლები ყოველთვის იძულებული იქნებიან, გავიდნენ თავისი ტერიტორიიდან დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის. 50 000-იან რესპუბლიკაში ვერასოდეს იქნება თვითმყოფადი სამედიცინო ინფრასტრუქტურა და არ არის აუცილებელი, სპეციალიტი იყო ამის გასაგებად. ასევე არ არის აუცილებელი, სპეციალისტი იყო, რათა გააცნობიერო, რომ რუსეთი ამჟამად არ წავა სამხრეთ ოსეთის თავის შემადგენლობაში შეყვანაზე. არა იმიტომ, რომ ეს არ სურს, არამედ იმიტომ, რომ ეს დამატებით პრობლემებს შეუქმნის საგარეო პოლიტიკურ ფრონტზე, თანაც ნაკლებ სავარაუდოა, რუსეთის მოსახლეობამ რესპუბლიკის ანექსია ყირიმის ანექსიის ტოლფას მიღწევად აღიქვას.



ანუ თიბილოვი საკუთარი მოსახლეობის მოტყუებითა და წმინდა წყლის პიარითაა დაკავებული მოსკოველი კურატორების მხრიდან ქულების მისაღებად – არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში უახლოეს წლებში რუსეთის შემადგენლობაში არანაირი მიღება არ იქნება!

მიუხედავად ამისა, თიბილოვის საქმიანობა, როგორც ერთგვარი „მაიმუნისა ყუმბარით“, სამხრეთ ოსეთისთვის საფრთხის მატარებელია. ამდენად, თიბილოვზე რეაგირება აუცილებელია, მაგრამ არა როგორც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტზე, არამედ როგორც პირობითად – პათოლოგიურ ვირუსზე – ის შეიძლება, უვნებელი იყოს, როცა პასიურია, მაგრამ დამანგრეველი ხდება, როცა აქტიურდება.

### კოლაფსი...

**როგორც ჭეშმარიტი მედროვე, თიბილოვი ცდილობს, მოსკოვს მიჰყიდოს ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, რაღაც პრეფერენციების სანაცვლოდ. როგორც ჩანს, ის მეორე საპრეზიდენტო ვადას უმიზნებს, მოსკოვში კი იგი მაინცდამაინც აღარ სურთ. რუსეთშიც კი, სადაც ყველანაირი თვითდაჯერებული იდიოტები უნახავთ, თიბილოვი დამამძიმებელ და უიმედო შთაბეჭდილებას ტოვებს. ასე რომ, მას შეცვლიან იმ შემთხვევაშიც კი, თუ პუტინს კრემ-ბრულეს წასმასა და შემდეგ ალოკვას დაჰპირდება, არათუ რუსეთისთვის სამხრეთ ოსეთის პირველივე შესაძლებლობისას ჩაბარების შემთხვევაში. პრობლემა ის არის, რომ მანამ, სანამ თიბილოვს ამჟამინდელი ადგილიდან მოისვრიან, რომელიც მან აბსოლუტური გაუგებრობის წყალობით დაიკავა, იგი ბევრის დაპირებას მოასწრებს, მისი ადგილმონაცვლე კი იძულებული გახდება, ეს დაპირებები შეასრულოს“.**

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ რესპუბლიკებში გამოიყენება.

**ვალერი ძუცევი,**
ოსი ანალიტიკოსი

№37. პარასკევი, 26 თებერვალი, 2016 წელი.

# კაცი, სამშობლოს მშენებელი



**შარშან, 26 თებერვალს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიამ თავისი მორიგი, ამჯერად გაფართოებული სხდომა ჩაატარა რუსთაველის სახელოვანი თეატრის დიდებულ დარბაზში, რომელ სხდომაზეც აღინიშნა ამ აკადემიის პრეზიდენტის, თეატრის მოღვაწეთა და მწერალთა შემოქმედებითი კავშირების წევრის, საზოგადო მოღვაწის ნუგზარ ნადარაიას დაბადებიდან 70-ე წელი.**

**სხდომა გახსნა და იუბილარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ. დღეს, ბატონი ნუგზარის დაბადების დღეს, გთავაზობთ ამ სიტყვას.**

70 წელი, მოგეხსენებათ, დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებული მიჯნა არ არის, იგი სიმაღლეა, საიდანაც კარგად ჩანს განვლილი გზის თითქმის ყველა მონაკვეთი, ხილულიც და უხილავიც, დროის სიმკაცრეც და წარმატებაც, სასოწარკვეთაც და აღტკინებაც, ხელის ჩაქნევის დროებით მოძალებული განცდაც და დროსთან ადაპტირების სულისკვეთებაც. ე. ი. ყოველივე ის, რაც ადამიანმა გამოსცადა. რაც იწვნია, ყველა ის წინაღობა, რომლის დაძლევა მას მოუხდა.

ბატონმა ნუგზარმა თავისი ცხოვრების დიდი გზა სახელოვნად განვლო. იგი დღეს ანგარიშს აბარებს საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს, ოჯახს, კოლეგებს და ამაყად აცხადებს — დამაკვირდითო, „ორთავსოფელსა შინა“ რისი გაკეთება შევძელიო მამულის, ენის, მართლმადიდებლური მრწამსის განმტკიცება-აღმშენებლობისთვისო. კარგად და სწორად ამბობს და საზოგადოებას გულწრფელად სთავაზობს თავისი ცხოვრების და საქმიანობის საქვეყნოდ განსჯას.

**ეს თამამი პოზიცია სიმართლით, სიძლიერით, დამაჯერებლობით განმტკიცებული განცდაა ამაყი მამულიშვილისა. ბატონი ნუგზარი ბრძანებს: ცხოვრების რთულ გზაზე სუბიექტური გადაცდომებიც დამიშვიაო. ამბობს ამას არა მხოლოდ მონანიების მიზნით, არამედ თხოვნა-გაფრთხილებით — სხვებმაც არ გაიმეორონ ისინი.**

ეს საზოგადო მოღვაწის სიტყვებია, მოყვასში პრინციპებისა და იდეალების ერთიანობის, ერთსულოვნებისა და უანგარო თანადგომის დამნახავი კაცისა, **ე. ი. მართალი კაცის მკაცრი ცხოვრებიდან შეძენილი სიბრძნეა.** ნათქვამია, მართალ ქართველ კაცზე დიდი კაცი მთელ დუნიაზე არ არისო.

**არასოდეს ივაჭრო დროით, შენი მდგომარეობით და დროებითი გამარჯვებით სარგებლიანობის მიღების არჩევანითო,** ამბობს ბატონი იუბილარი. და სწორადაც ამბობს. ეს სიტყვები დროული გაფრთხილებაა იმათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი, უფრო მეტიც, ქვეყნის ცხოვრებაც მხოლოდ მათი მოსვლის დღიდან იწყება, ვისაც არ ესმის, რომ როგორც დიდი ილია ბრძანებდა, **„წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა, ისეა ერთმანეთზე გადაბმული,** რომ ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია“...

შურისძიების ნაცვლად შეუნდე ცოდვილს, მოღალატეს და მტერსაც კი... ამიტომაც გთხოვთ, ფართოდ გააღეთ თქვენი გული და დაამკვიდრეთ იქ სიყვარული, სიკეთე, თანადგომა, რათა მასში ადგილი არ დარჩეს მტრობას, შურს, გაუტანლობას, მუხანათობის დამღუპველ ცოდვებს. ესეც იუბილარის სიტყვებია, საჯაროდ და თანამემამულეების მიმართ წარმოთქმული.

**ამ სიტყვების ავტორი ღრმად მორწმუნე კაცია, ეკლესიური. ეს განასხვავებს მას ბევრი სხვა მორწმუნისგან.**

**ასეთი კაცი, დამეთანხმებით, მოფერებას იმსახურებს.**

* * *

საზოგადოებას ყოველთვის ჰქონდა ადამიანების როლისა და დამსახურების შეფასების საკუთარი ან გარედან თავსმოხვეული სტერეოტიპები, რომელიც კრიტერიუმების ერთობლიობას ეფუძნებოდა და დროის მოთხოვნების შესაბამისად იცვლებოდა. ისიც ცნობილია, რომ ადამიანების ღვაწლის შეფასების სიძნელეები ყველაზე მეტად იჩენს თავს ექსტრემალურ პირობებში. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა დღევანდელ საქართველოში, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა ძველი და ახალი შეხედულებები და პოზიციები, განსაკუთრებით დამსახურებული ადამიანების შეფასებისას იმძლავრა შურმა, დაბეზღების ინსტინქტმა, შურისძიების მოტივაციამ, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით აღზევდა საზოგადოებრივი, საერთოდ, საქვეყნო ინტერესების დათრგუნვის სულისკვეთება, ფართოდ იკვლევს გზას აზროვნების კრიმინალიზაციის პროცესი, რომლის უკვე დამდგარი შედეგიც და თანმდევი მოვლენებიც ქვეყნის უსაფრთხოების უმთავრეს მუქარად უნდა მივიჩნიოთ.

ქვეყნის წარსულთან ერთად ღვაწლმოსილი ადამიანების განქიქებით, პოზიტიურისა და ნეგატიურის აღრევის ხელშემწყობი გარემოს შექმნით, გენეტიკურ „შადიმანიზმზე“ ცინიზმის დაფუძნებით, „უცხობაძვის“ უპირატესობის ბრმა აღქმით, ცნობიერებაზე ზემოქმედების თანამედროვე მეთოდების პრესინგის ქვეშ მოქცეულ საზოგადოებაში მეტად რთულია ადამიანების, მით უფრო, წინა ეპოქაში მოღვაწეთა ღვაწლის მისხალ-მისხალ, ნაბიჯ-ნაბიჯ, დამსახურებისამებრ შეფასება და მათთვის ჯეროვანი ადგილის მიკუთვნება. საზოგადოება ხელოვნურად გაიხლიჩა ძველებად და ახლებად. მავანთა მცდელობით წინა ეპოქის დამსახურებული ადამიანების საზოგადოების კორუმპირებულ, ჩარეცხილ ფენად ჩათვლა ძირშივე ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოებისა და ეროვნული თანხმობის ფუძემდებლურ პრინციპებს.

ასეთ ფონზე დღევანდელი შეხვედრა ერთგვარი პასუხია ახალ გამოწვევებზე. მამულიშვილებს პატივი უნდა მივაგოთ — ესეც ბუნების კანონია. მოვუსმინოთ იაკობ გოგებაშვილს: იგი 1910 წელს გაზეთ „სახალხო გაზეთში“ წერდა: **„იუბილეების გამართვა არსად არ არის ისე საჭირო, როგორც ჩვენს სამშობლოში. იუბილე საზოგადო მოღვაწეებს, ადამიანებს მეტად ამხნევებს, ძალას მატებს და მეტს აკეთებინებს... თვითონ საზოგადოებასაც ჩინებული აღმზრდელის გავლენა აქვს. აჩვევს მას საქვეყნო მოღვაწეობის ღირსეულად დაფასებას, უძლიერებს თანაგრძნობას ამგვარის მოღვაწეობისადმი. რაც უფრო ძვირფასია, ყმაწვილთა წრეებში ჰბადებს და აღორძინებს მისწრაფებას — თავისი ძალ-ღონე მოანდომოს და შესწიროს საქვეყნო საქმეებს, რასაც მოსდევს ისეთი დაუფასებელი ზნეობრივი ჯილდო, როგორიც არის საერთო გამოცხადება პატივისცემისა“.**

ბრძენი კაცის თითოეული სიტყვის მიზანიც და ენერგიაც პროცეს-შენაკადით ერთვის ეროვნულ აზროვნებას. იუბილარის შესახებ ბევრი ითქვა, მომავალშიც იტყვიან. ერთი რამ ცხადია, ბატონმა იუბილარმა რთულ გზაზე ამაყად გამოატარა მამულიშვილობის მძიმე ტვირთი და დღესაც დიდი ენერგიით, მგზნებარებით, შინაგანი რწმენით, ქართველი კაცის „გულის ძგერით“ ეროვნულ საქმეს ემსახურება. **მადლობა მას ასეთი მაგალითისთვის.**

ბატონი ნუგზარი დროში არ დარჩენილა, რაც მთავარია, ლუკმის გადმოგდების იმედით უარი არ უთქვამს საკუთარ და ქვეყნის წარსულზე. იგი ქვეყნის წარსულის, დღევანდელობის და მომავლის მთლიანობის უდიდესი მნიშვნელობის სწორად აღქმის კარგი მაგალითია. მადლობა მას ამისთვის.

და ბოლოს. დღეს ბატონი ნუგზარის სახით იუბილარია მთელი თაობა, რომლის ორგანული ნაწილი თითოეული ჩვენგანია. თაობა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში, ქართული ფენომენის შენარჩუნება-განვითარებაში და პირნათლად მოიხადა საკუთარი ვალი ქვეყნის წინაშე. ეს ის თაობაა, რომელიც მუდამ შემართული, ორგანიზებული იყო ახალ მატერიალურ და მორალურ ფასეულობათა შექმნაზე და არა ადრე შექმნილის მომსახურებაზე, სიტყვებისა და საქმის ერთიანობასა და ორგანიზებულობაზე და არა გათითოკაცებაზე, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე და არა ცალკეული პირების, ჯგუფების მტაცებლური ინტერესების მომსახურებაზე, ძლიერ ქართულ სახელმწიფოზე და თვითმყოფად ეროვნულ კულტურაზე და არა კლანური სტრუქტურების ეგოისტური მიზნების განხორციელებაზე.

**ასეთ თაობას, მის ყველა ღირსეულ წარმომადგენელს, თითოეულ თქვენგანს დროსა და სივრცეში აღიარება ეკუთვნის, დამსახურებული მოფერება.**

ერთმანეთს ვენდოთ, მოვეფეროთ, სიცოცხლეშივე ვუთხრათ ერთმანეთს სათქმელი — ეს ის რესურსია, ჩვენი აზრით, სტრატეგიული რესურსი, რომელსაც უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე გარედან შემოთავაზებულ სესხებს, ჰუმანიტარულ დახმარებებს, ცრუ დაპირებებს და მრავალ სხვას, რომლითაც ილუზიებში აღმოჩნდა საზოგადოება.

**გვახსოვდეს, რომ მოფერებისთვის, კაცობისთვის, მამულიშვილობისთვის არც კაბალური კრედიტების აღებაა საჭირო და არც პოლიტიკური მევახშეობის წინაშე მონური მორჩილება.**

ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ იუბილარს, თითოეულ თქვენგანს, ვიყოთ ამაყნი ჩვენი წარსულით, ვიყოთ მართალნი დღევანდელობის წინაშე, ვიყოთ იმედით მომავლისთვის.

**ნოდარ ჭითანავა,**
**სოფლის მეურნეობის, ფაზისისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

**რედაქციისგან: მთლიანად ვეთანხმებით იუბილართან დაკავშირებით ბატონ ნოდარ ჭითანავას ზუსტად მორგებულ და სწორ დასკვნებს, ობიექტურ შეფასებებს. ვუსურვებთ დღევანდელ იუბილარს, ბატონ ნუგზარ ნადარაიას, რომელმაც თავისი ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ სფეროსა თუ უბანზე მისთვის სისხლხორცეულად დამახასიათებელი კაცობით, ნაღდი მამულიშვილობითა და პატრიოტიზმით ილვაწა, მრავალ საზოგადო საქმეს წარმატებით გაართვა თავი, კვლავაც ადრინდელი დაუღლელობით ეშრომოს მშობელი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.**

## იმერეთის მხარე

# მაღაროელებს 1 იანვრამდე არსებული შეღავათები შეუნარჩუნდებათ

**შესაბამისი კანონპროექტი მომზადებულია და პარლამენტში განსახილველად უახლოეს მომავალში შევა.**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ტყიბულში მაღაროელების გაფიცვის საკითხით დაინტერესდა. მან ინფორმაციის მიწოდება ჯანდაცვისა და ფინანსთა მინისტრებს სთხოვა.**

**„ჩვენ მოვამზადეთ გარკვეული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც მიმდინარე წლის 1 იანვრამდე ჰქონდათ საგადასახადო შეღავათები, უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება მაღაროელებს, შეღავათები შეუნარჩუნდებათ. ამ შეღავათების მოქმედება გაგრძელდება. ჩვენ ამის თაობაზე გვაქვს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტთან და აღნიშნული კანონპროექტი უახლოეს მომავალში იქნება ინიცირებული“, — თქვა ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომაზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განმარტებით კი, ტყიბულის მაღაროში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები არის შრომითი დავა. მანვე იმედი გამოთქვა, რომ სამინისტროს მხრიდან მოლაპარაკებების და მედიაციის გზით, შესაძლებელი გახდება საკითხის მოწესრიგება.**



# გვჭირდება თუ არა ორი პროკურატურა?

## მთავრობა მესამე სექტორთან ვერ თანხმდება

**ორი პროკურატურა ქვეყანაში არ იარსებებს! — ასეთი კატეგორიულია იუსტიციის მინისტრი, თუმცა... იქვე აკონკრეტებს, რომ საქართველოს სახელმწიფო მზად არის, ებრძოლოს ადამიანის წამების, არაადამიანური მოპყრობის თუ ძალის გადამეტების ფაქტებს. არასამთავრობო სექტორი თითქმის წელიწადია, ცდილობს, კანონად იქცეს კანონპროექტი დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის შესახებ, რომელმაც მყისიერი რეაგირება უნდა მოახდინოს წამების თუ გარდაცვალების ფაქტებზე ძალოვან ორგანოებში. მაგალითად, წინასწარი დაკავების იზოლატორებში, ციხეებში, თავდაცვის სისტემას დაქვემდებარებულ დაწესებულებებში.**

ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი იქნება სამართალდამცველთა კონტროლის საშუალება, რომელიც, ამავდროულად, გაზრდის მათს ანგარიშვალდებულებას მოქალაქეების მიმართ. იგი გამოიძიებს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს და განახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, რაც ნიშნავს, რომ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება.



სჭირდება თუ არა ასეთი ორგანო ქვეყანას? როგორია სტატისტიკა ამგვარ საქმეებთან მიმართებაში, ან დაისაჯა თუ არა ვინმე? როგორია მთავრობის პოლიტიკური ნება? სახალხო დამცველი თავად სვამს კითხვას: ვართ თუ არა მზად, ვებრძოლოთ ძალის გადამეტების, წამების, არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს? და იქვე ამბობს, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა აუცილებელია. **„ეს არის ათწლეულების პრობლემა,** — აცხადებს **უჩა ნანუაშვილი, — 2012 წელს ნათლად გამოჩნდა, რომ პრობლემა სისტემური იყო. სკანდალური ჩანაწერების გასაჯაროებამ კარგად დაგვანახვა, როგორ ამაზრზენ დანაშაულს სჩადიოდნენ ძალოვნები. 2013 წელსაც 40-მდე პირმა მიმართა ჩვენს აპარატს, სადაც იკვეთებოდა ინტერესთა კონფლიქტი, ქვემდებარეობის საკითხი და ა. შ. შესაძლებელია, დღეს იმ მასშტაბის პრობლემა არ იყოს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ინსტიტუტის შექმნა. იმედია პარლამენტი ვადის ამოწურვამდე მოასწრებს კიდეც კანონის დამტკიცებას“.**

საეჭვოა, ეს მოხდეს, ვინაიდან ჯერ მთავრობასა და მესამე სექტორს შორისაც კი არ მომხდარა არანაირი შეთანხმება, კონსენსუსის მიღწევა. მასშტაბურ შეხვედრაზე, რომელიც ფონდ **„ღია საზოგადოება — საქართველოს“** მხარდაჭერით გაიმართა, მხარეები მხოლოდ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ამ თემაზე სადისკუსიოდ და საბოლოოდ ასეთი პოზიცია გამოიკვეთა: **არასამთავრობოთა ხათრით, მთავრობა მზადაა, საგამოძიებო ორგანო შექმნას, მაგრამ არამც და არამც ეს არ იქნება „პოლიციის პოლიცია“..**

თეა წულუკიანმაც დაადასტურა, რომ ამის პოლიტიკური ნება არსებობს. ადამიანის წამების აკრძალვა არც ერთი ხელისუფლების ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ ინსტიტუციურად უნდა იყოს გამართული და გამყარებული, რომ ვერც ერთმა სხვა მთავრობამ ვერ შეძლოს მისი შეცვლა. **„მე როგორც წამებათა შესახებ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს, მართლა მაინტერესებს ეს კანონპროექტი. ჩვენს ხელისუფლებას დღეს ეს პრობლემა არა აქვს, ეს იყო პრობლემა ხელისუფლების ცვლილებამდე... ვიცით, თუ რა ოდენობის საჩივრები მიდიოდა სტრასბურგში. გავიარეთ კონსულტაციები ევროპის საბჭოს კომიტეტთან, რომელმაც თქვა, რომ ამის შექმნა აუცილებელი არ არის. საქართველოს პროკურატურა რთულად, მაგრამ მაინც დგას გაჯანსაღების პოლიტიკის გზაზე, ამიტომ პარალელური პროკურატურის შექმნა აუცილებელი არ არის. ვინაიდან მესამე სექტორი ითხოვს, ჩვენც ვაპირებთ დამოუკიდებელი ორგანოს შექმნას... საფრანგეთში მას „პოლიციის პოლიციას“ ეძახიან“,** — დასძინა მინისტრმა.

დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნისკენ საქართველოს ხელისუფლებას პირველად 2005 წელს მოუწოდა გაეროს წამების ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობის შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა მანფრედ ნოვაკმა. იგივე გაიმეორა ტომას ჰამერბერგმა 2011-2013 წლებში, ჯერ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისა და შემდგომ საქართველოს მთავრობის მრჩევლის რანგში.

**„11 წლის განმავლობაში ქვეყანაში ბევრი რამე მოხდა და მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რა თქვა მაშინ. ნუ გვავიწყდება, რომ მას შემდეგ პროკურატურამ მნიშვნელოვანი რეფორმა განიცადა,** — აღნიშნა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ სანდრო ბარამიძემ, **— პროკურატურის გარდა, რაღაც სხვა პროკურატურა თუ უნდა შეიქმნას, ეს რეალობის აღქმას არ ნიშნავს!“**

როგორია დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს ქართული მოდელი? — მას ექნება სამი ფუნქცია: გამოძიების, სამართლებრივი დევნისა და სასამართლოზე საქმის გადაცემისა და მხარდაჭერის უფლება. ორგანოს უხელმძღვანელებს კომისარი, რომელიც 7 წლის ვადით აირჩევა და ანგარიშვალდებულება ექნება პარლამენტის წინაშე.

არც სასჯელაღსრულების მინისტრი **კახი კახიშვილი** ეთანხმება პარალელური სტრუქტურის შექმნას. **„შეიძლება მაგალითად, სამგამოძიებო სტრუქტურის შექმნა საზედამხედველო ფუნქციით. მკვეთრად უნდა შემუშავდეს საკანონმდებლო რეგულაციები. თუ კანონი მკაფიოდ გაწერეს, ჩემი აზრით, შევძლებთ თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიებას. სხვათა შორის, ყველა უწყებას ჰყავს თავისი ინსპექტორიატი, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ნიშნავს. ასევე გენისპენქცია არსებობს, რომელიც კონკრეტულ მოკვლევას აწარმოებს. ჩვენს უწყებაში 300-მდე ადამიანია შიდადისციპლინარული წესით დასჯილი. ჩემი აზრით, უმჯობესია, შევქმნათ გენინსპექცია მაღალი ხარისხით“.**

დევნის უფლება ერთადერთ ორგანოს — პროკურატურას აქვს. მთავრობას სწორედ ამ ფუნქციის მინიჭება არ უნდა ახალი საგამოძიებო ორგანოსთვის, რაც, მათი აზრით, ფაქტობრივად, მეორე პროკურატურის შექმნას ნიშნავს. თუკი სასამართლო პროცესზეც ბრალდების მხარდაჭერის უფლებაც ექნება, ამ ორ სტრუქტურას შორის განსხვავება თითქმის არ იარსებებს. უფლებადამცველები კი მიიჩნევენ, რომ თუ საგამოძიებო ორგანოს დევნის უფლება არ მიეცემა, მაშინ ამ უწყების შექმნა უაზრობაა.

მოლაპარაკების რაუნდები წინა გვაქვს. არასამთავრობოები კანონპროექტზე უარის თქმას არ აპირებენ. მათ სპეციალურად მოიწვიეს ექსპერტები დიდი ბრიტანეთიდან, ჩრდილოეთ ირლანდიიდან, კანადიდან, სამხრეთ აფრიკიდან. ექსპერტები ერთხმად მიუთითებენ საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანობის თაობაზე. თუმცა, თუ სამხრეთ აფრიკელ მკვლევარ გვენაელე დერეიმაეკერს დავუჯერებთ, მათ ქვეყანაში ამ სამსახურმა ვერ გაამართლა. **„ჩვენთან 2013 წლიდან დაიწყო წამების საწინააღმდეგო სისტემის შემუშავება. ვერ გეტყვით, რომ ბევრი ადამიანი დაისაჯა. სახელმწიფოს ინტერესები არ არის ხოლმე კონკრეტული ძალოვანის დამნაშავედ ცნობა, რადგან დაზარალებულს კომპენსაციას სახელმწიფო უხდის. პოლიციელსაც პოლიციელი კოლეგად მიაჩნია და ეფექტიან გამოძიებას არ აწარმოებს. მით უმეტეს, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერაც არ გვაქვს“.**

ვნახოთ, როგორი იქნება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნება. რაც შეეხება წამების შესახებ გაეროს დასკვნას, იქ ნათქვამია, რომ საქართველოში ამ მიმართულებით ცვლილებებია რადიკალური კარგისკენ. წინა ხელისუფლების დროს სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი 40-მდე საქმე ახალ ხელისუფლებასთან მორიგებით დასრულდა. ხელისუფლებამ გასცა კომპენსაციები, უმკურნალეს პატიმრებს და ა. შ. ყველა მომჩივანი დაკმაყოფილებულია.

**თეა მოსია**

ამერ-იმერში

## ბათუმის ბულვარი ლამაზდება



**ბათუმის ბულვარში, ნინოშვილის ქუჩის გასწვრივ სასეირნო ბილიკის მოპირკეთება გრძელდება. ბულვარის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბეტონის დეკორატიული ფილებისა და ბაზალტის ბორდიურებით კეთილმოწყობის სამუშაოები დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიამდე უკვე დასრულებულია.**

**რეაბილიტაციის ფარგლებში, ცენტრალური ბულვარის შესასვლელიდან უნივერსიტეტამდე არსებულ ხეივანში, დაგეგმილია წლების მანძილზე ამორტიზებული მოზაიკის შეცვლა და დეკორატიული ფილებით განახლება. სამუშაოები მარტში დასრულდება.**

## გზა, რომელსაც ტაძრამდე მივყავართ

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა XII საუკუნის ისტორიულ ძეგლთან — ყინწვისის მონასტერთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.**

**უწყების ინფორმაციით, აღნიშნული შიდასახელმწიფოებრივი გზის 3,3 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. პროექტის ფარგლებში დაიგება ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა მოსახლეობის ეზოში შესასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებელი მოედნები, ავტოპავილიონები, ხელოვნური ნაგებობები, წყალგამტარი მილები, გვერდულები, კიუვეტები და გაბიონები. აღნიშნული საგზაო მონაკვეთი ვერ უზრუნველყოფდა ტრანსპორტის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას. ასფალტ-ბეტონის საფარი ზოგან ნაწილობრივ, ცალკეულ მონაკვეთებზე კი მთლიანად იყო დაზიანებული და ზედაპირული წყლები გზის სავალ ნაწილზე მოედინებოდა. რეაბილიტირებული გზით ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები უფრო კომფორტულად შეძლებენ ყინწვისის მონასტერთან დაკავშირებას. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო და წელსვე დასრულდება.**

## მენჯში თხილის გადამამუშავებელი საწარმო შეიქმნება

**საქართველოს მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე დაამტკიცა სახელმწიფო პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 3 საწარმოსთვის ქონების გადაცემა. სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ მენჯში, თხილის გადამამუშავებელი საწარმო ამოქმედდება, რომლისთვისაც დაახლოებით 200 000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდება, ხოლო საწარმოს წლიური მინიმალური წარმადობა 200 ტონა იქნება; ჩაის გადამამუშავებელი საწარმო აშენდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, რომელიც ყოველწლიურად მინიმუმ 20 ტონა ჩაის აწარმოებს; ინვესტიციის მოცულობა დაახლოებით 39 000 ლარია; გარდაბნის რაიონში, სოფელ კუმისში, შეიქმნება რძის პროდუქტების საწარმო, რისთვისაც 100 000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდება.**

## ბახმარო სუპერკურორტი გახდება

**მთავრობა ბახმაროს კურორტის განვითარების მასშტაბური პროექტის განხორციელებას იწყებს. განკარგულების პროექტს „ბახმაროს საკურორტო ზონის განვითარებისთვის ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“, მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მხარი დაუჭირეს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ბახმარო ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული კურორტია, რომლის განვითარებაც საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს.**

**„კურორტს გააჩნია უნიკალური შესაძლებლობები როგორც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, ისე სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების კუთხით. საქართველოს მთავრობა აქტიურ რეჟიმში იწყებს მუშაობას იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად, უმოკლეს ვადებში ბახმარო იქცეს ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ კურორტად — მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, საუკეთესო გზებით, განაშენიანებისა და გარემოსდაცვითი უზრუნველყოფით, სადაც ინვესტორებს ექნებათ შესაძლებლობა, განახორციელონ ინვესტიციები და შექმნან საუკეთესო გარემო სხვადასხვა ტურისტული მიმართულებების განვითარებისთვის.**



კვლავ ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა?!

# „ბედნიერი ერის“ შვილთა გოდება



**„ისტორია არის ცხოვრების მასწავლებელი“, ამბობდა დიდი ციცერონი. ოც საუკუნეზე მეტია, გონიერი ადამიანები ამ ბრძნულ შეგონებას ბეწვის ხიდზე დგომის, ყოფნა-არყოფნის ჟამსაც არ ივიწყებენ. ამ აზრზე იდგნენ ჩვენი წინაპრებიც და მოიკვლევდნენ ურიცხვი მტრებით გაუდაბურებული წუთისოფლის გზას. თავი სამშვიდობოს რომ გვეგონა, განგებამ ახალი გამოცდა მოგვიწყო, რომელზეც პასუხის გაცემა ვერ მოგვიხერხებია. „სისხლში მოზელილმა ტალახებმა“, სიბნელეს დაარქვეს სინათლე, სიცრუეს — ჭეშმარიტება, უწესობას — წესიერება, საკუთარ თავს „ნაციონალები“ უწოდეს. ყოველივე ამას ისეთი რიხით სჩადიოდნენ, თითქოს ახალი პლანეტა აღმოეჩინოთ, სინამდვილეში კი ათი წელი საქართველოს ბინდის საბურველი გადააფარეს.**

დადგა ქართველთა განკითხვის უმძიმესი დღეები. შეიქმნა ახალი ეპოქის შენების მითი, ბარბაროსულმა დაუნდობლობამ სულიერების ხატი ნანგრევებში მოაქცია. ისტორიიდან სწავლის ნაცვლად, მისი სრული უარყოფის წინაშე აღმოვჩნდით. უგუნურმა მედროვეებმა წარსული გამოუსადეგარ და ადვილად გადასაგდებ ნივთად გამოაცხადეს, რომელიც ამძიმებს „ბედნიერი ერის“ ყოველდღიურ ყოფას. ასეთ ვითარებაში დაიბადა ბრმათათვის გამიზნული, სიახლედ სახელდებული ეშმაკეული ნიჰილიზმი, რომელიც უმოწყალოდ ასწორებს მრუდსა და მართალს, ადამიანს უკარგავს პირვანდელ სახეს და აქანდაკებს სიმახინჯეს. ცხოვრების მასწავლებელ ისტორიას გვერდი ავუარეთ და მეორედ მოსვლის საგოდებელში შევაბიჯეთ საეჭვო მონაცემების ენამჭევრების წინამძღოლობით (წყევლა აგვიხდა, მაგრამ რისთვის დაგვწყევლა მამაზეციერმა ვერ გაგვირკვევია. როდის გავარკვევთ?).

უკანასკნელმა ათწლეულებმა უმწიფარ, „უსწავლელ სწავლულთა“ თაოსნობით, ქართულ სულიერებას ჯოჯოხეთიდან ამოხეთქილმა ტალღამ გადაუარა და უდაბნოს ქვიშასავით გადათელა. ველურმა ურდომ ბარბაროსული დაუნდობლობით დავიწყების უფსკრულში გადაუძახა ეროვნული სიწმინდეები და უნამუსოდ აფრიალებულ ევროპეიზაციის სახელით მონათლულ სიცრუეს ზვარაკად შესწირა თაობათა ნაღვაწ-ნაოფლარი. სააკაშვილ-ლომაიას დათესილი ბოროტების ხის ნაყოფი, უფრო სწორად, უნაყოფობის მცენარე, ათი წელი ყვაოდა ბედკრულ საქართველოში.

ცრურეფორმატორთა განზრახვამ მიზანს მიაღწია, ქართველებს ისე შეაძულა თანამოძმე, რომ ერთმანეთის დანახვის სურვილი დაუკარგეს. ერი აქციეს უზარმაზარ მტრულ ბანაკად. მათს „უკვდავ იდეებს“ შეუპოვრად იცავენ მათი სულიერი მემკვიდრენი, რომელთა რაოდენობა, როგორც წყევლა, საკმაოდ მყარად დგას ბოროტების სადარაჯოზე. ნანგრევებში მოყოლილი სიმართლე ამაოდ ცდილობს დუმილის ლოდის დაძვრას, მაგრამ უკეთურ მედროვეთა გამრუდებული სამართალი ჯოჯოხეთური დაუზოგაობით იცავს სიყალბეზე დაფუძნებულ თემიდას სასწორს. სიმართლეს ჩაგრავს უსამართლობის ბალავარზე აღმართული შენობა, რომლის კედლებსაც ნაცისტები სისხლით აგებდნენ. მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. ბევრმა ღირსეულმა პიროვნებამ დატოვა წუთისოფელი, ვერ გაუძლო სარკინოზების უდიერებას. ვინც დარჩნენ, ფარხმალდაყრილნი ელოდებიან უზენაესის განაჩენს. ოდესღაც მხნე ადამიანებმა შეუფერებლად „შედრეკილ-შეშინებულთა“ არმიას შეფარეს თავი. „ცეცხლისმფრქვეველმა“ ლომაიამ და მისმა ხელისბიჭმა ხუბუამ (ამჟამად ყოვლისშემძლე ლომაიას ასავალ-დასავალი უცნობია, ხოლო ხუბუა მის მიერ დანგრეულ-გაცამტვერებული უნივერსიტეტის სრული პროფესორია და ახალგაზრდობას სამართლიანობას უქადაგებს), ევროპული სტანდარტების დანერგვის ცრუ დაპირებებით ამოთხარეს და ამოძირკვეს ის სიმდიდრე, რომელიც წლების განმავლობაში რამდენიმე თაობის შრომით იქმნებოდა. მშვიდობიან პროტესტს ლომაია-ხუბუას დუუმვირატმა იარაღი დაუპირისპირა.

უკვე დავიწყებას ეძლევა საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფაქტი, როდესაც უნივერსიტეტის პირველი კორპუსი შეიარაღებულმა პოლიციამ შტურმით აიღო, პროფესორები ძალით გამოაძევა და იქ დაბანაკდა, რომ ხუბუას სიმშვიდე დაეცვა. მოძალადეებმა ცეცხლითა და მახვილით ამოშანთეს ეროვნული ტრადიციების გამოვლენის ოდნავი ნიშნებიც და ფრთები შეასხეს ევროპეიზაციის გაუკუღმართებულ რაკრაკს, რომელსაც ევროპასთან ოდნავი მიახლოების ნიშნები არ გააჩნდა (ლომაია-ხუბუას შეხმატკბილებული ყელყელაობა სახელს უტეხდა ჩვენთვის კარგად ცნობილ ევროპული განათლებისა და მეცნიერების სიმაღლეებს. სააკაშვილმა ლომაია-ხუბუას „აყვავებით“ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ქართულ სულიერებას).

„შედრეკილ-შეშინებულთა“, ნაცისტებს მიტმასნილთა დიდი ჯგუფი ქება-დიდებას არ იშურებდა ყალბისმქნელთა „ბრძნული“ საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართ. მათ მიერ ჩადენილ ათას სიბრიყვეს „ეპოქის გამოწვევის“ მეხოტბენი ახალი ერის დასაწყისად ნათლავდნენ. რაც აქედან მიიღო საქართველომ, მხოლოდ დაუძინებელ მტერს თუ გაახარებს. საინტერესოა ერთი მეტად სავალალო შემთხვევა, ქართული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ქედი მოიდრიკა ნაცისტების მძვინვარების წინაშე და უსიტყვო მორჩილების სანაცვლოდ სერიოზული ინდულგენციები მიიღო, ვინც ჯილდოს გარეშე დარჩა, მოწყალების მოლოდინში დუმილს ამჯობინებდა. მათ სჯეროდათ, რომ დუმილი ოქროდ იქცეოდა.

ამ განზრახვით ჩაერთნენ ლომაია-ხუბუას ჩატარებულ წმენდა-არჩევნებში, რითაც სამართლიანობის სტატუსი მიანიჭეს მომაკვდინებელ გაუგებრობას, რომელმაც გზა გაუხსნა უამრავ ლობეყორეს მოდებულ პერსონას. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ არჩევნებში უმეტესად უპირატესობა მიენიჭათ ნაცისტური მიდრეკილების პირებს. ეს დიდი დანაშაული ლომაია-ხუბუამ ეროვნული იდეის გამარჯვებად გამოაცხადეს. მდგომარეობა თითქმის უცვლელია დღესაც. ათი წელია, მხოლოდ ერთეულები გამოთქვამენ კრიტიკულ აზრს ნაცისტების საგანმანათლებლო პოლიტიკის უარყოფითს მხარეებზე. ძირითადი ნაწილიც უკმაყოფილოა, მაგრამ გამოხმაურებისაგან თავს იკავებს. უფრო სწორად, არ ღალატობს ადრე გადადგმულ მცდარ ნაბიჯს.

ვინც ბრძოლას აგრძელებს ქარის წისქვილების წინააღმდეგ, მებრძოლების შთაბეჭდილებას სტოვებენ, წერენ (სხვა იარაღი მათ არ გააჩნიათ) და თვითონვე კითხულობენ. საკმაოდ არგუმენტირებულ და შინაარსიან ღაღადისს, როგორც ნაციონალები არ აქცევდნენ ყურადღებას, დღესაც ისე ეპყრობიან, რაც დიდად სამწუხაროა. მთავარი ის არის, რომ კრიტიკული აზრის გამომთქმელების მიმართ მეოცნებეებსაც არ შეუცვლიათ დამოკიდებულება. ნაციონალების დანერგილი უკანონობა შენარჩუნებულია უცვლელად (თუ რას ვგულისხმობ, ქვემოთ მოგითხრობთ).

**„ხმა მღაღადებლისა უდაბნოს შინა“** — ამ სიტყვებით ალბათ დღევანდელი საქართველო იგულისხმა შორეულ წარსულში მცხოვრებმა ბრძენმა წინასწარმეტყველმა, რომელიც სისრულით აგვიხდა. ათი წელია, ხმა ვერ მივაწვდინეთ სადაც ჯერ არს, ვდგავართ და ველოდებით ცის გახსნას. წლები მიფრინავენ და გვიტოვებენ მწარე მოგონებებს, ფერფლად ქცეულ ოცნებებს. ძლიერნი ამა ქვეყნისანნი დღესაც ნაცრის ფრქვევით აბნელებენ თვალთახედვის არეს, ფიქრობენ, რომ მხოლოდ ისინი ფლობენ ღვთისგან ბოძებულ უნარს ერის საწინამძღვროდ. შედეგი, ნაციონალების უბნელესი პოლიტიკის ხელშეუხებლობა და მედროვეთა ჩვეულებრივი ნებივრობა. მტყუანისა და მართლის განმკითხავი არ ჩანს და განუკითხაობა ძველებურად ღრღნის სულიერების წმინდა ტაძარს, ოდნავი გამონათება დღის სინათლეს ვერ მოიტანს. ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა, იმიტომ რომ წარსულს დავიწყების საბურველი გადავაფარეთ და ნაცისტური უზნეო პროპაგანდის მიხედვით, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. „ბედნიერი ერის“ მრუდე გზაზე დგომის პროცესი თუ არ შეიცვალა, უფსკრულში მოხვედრილებს მიწის მოყრას ქარავანთა მეპატრონენი არ დაგვამადლიან, ისე რომ შესანდობარზეც არავინ შეიწუხებს თავს.

იხ. 9 გვ.

# რას მოგვიტანს გერმანული მოდელის დანერგვა?

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივით, უმაღლესი განათლების სისტემაში გერმანული მოდელის დანერგვა იგეგმება, რადგან „ამ ქვეყანამ დაუდო სათავე განათლების სისტემას“, ჩვენში დღეს არსებული უმაღლესი განათლების სისტემა კი შესაცვლელია.**

გიორგი კვირიკაშვილი თვლის, რომ გერმანული მოდელი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ეფექტურად მუშაობს და აღნიშნული რეფორმა ჩვენს ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელს გაზრდის. სახელმწიფოს მესვეურნი ფიქრობენ, რომ ეს იქნება პროფესიული განათლებისა და ბიზნესის საუკეთესო შერწყმა.

განათლების გერმანული მოდელი ე.წ. დუალურ სისტემას გულისხმობს, რაც დასაქმებამდე მისასვლელი მოკლე გზაა. კოლეჯის სტუდენტებს საშუალება ექნებათ, სამუშაო ადგილზევე გაეცნონ თავიანთ მომავალ პროფესიას და ჩაერთონ ყველა საწარმოო პროცესში. უფრო კონკრეტულად, მაგალითად, მეღვინე-მევენახის პროფესიის დასაუფლებლად ახალგაზრდას საშუალება ექნება, გაეცნოს მთელ საწარმოო ციკლს — ის უნდა მუშაობდეს ვენახში, იცოდეს ვაზის კულტივაცია, ტრაქტორის მართვა, უნდა ფლობდეს სასუქთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ინფორმაციას. სამი წლის შემდეგ კი სტუდენტის დასაქმების პერსპექტივა მაღალი იქნება.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გერმანული უმაღლესი განათლების მოდელი არც ისე წარმატებულია, რასაც თავად გერმანელებიც არ უარყოფენ. ამ მხრივ ბევრად უფრო მოქნილია კანადური, შვეიცარიული, ამერიკული, ბრიტანული და იაპონური მოდელები.

ექსპერტი განათლების საკითხებში მარიამ რამინაშვილი For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ გერმანული მოდელის დანერგვა საქართველოში წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია და რეალობასთან მას კავშირი არ აქვს.

**„ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის გამო საეჭვოა, გერმანული მოდელი საქართველოში წარმატებით დაინერგოს. თუ ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ასი ქარხანა უკვე გუგუნებს და ეს ქარხნები მუშახელსაც ითხოვენ, ამ რეალობაში შეიძლება გვქონდეს ილუზია, რომ განათლების დუალური მოდელი წარმატებით განხორციელდება. თანაც, ეს არ არის სიახლე. ჯერ კიდევ 2013 წლიდან დაიწყო განათლების სამინისტრომ ამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, იმ პერიოდში ჩვენი წარმომადგენლებიც ესტუმრნენ გერმანიას, 2014 წელს პარლამენტის წევრიც კი ჩავიდა გერმანიაში დუალური მოდელის გასაცნობად, თუმცა ეს არ განხორციელებულა, რადგან განათლების სისტემამდე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უნდა მოწესრიგებულიყო“,** — აცხადებს მარიამ რამინაშვილი და მოითხოვს, ვიდრე გამოცხადდება კონკურსი ამა თუ იმ სპეციალობაზე, სახელმწიფომ აწარმოოს კვლევა და გაარკვიოს, სად რამდენი სპეციალისტია საჭირო, რათა პროფესიული განათლებამიღებული ახალგაზრდობა მერე არ დარჩეს ხელმოცარული და დაუსაქმებელი.



ექსპერტი განათლების საკითხებში **სიმონ ჯანაშია** ფიქრობს, რომ **განათლების გერმანულ მოდელზე გადასვლა სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ხელისუფლების მცდელობა არჩევნების წინ დასაქმების პოპულარული თემა გააცოცხლოს. გარდა ამისა, ხელისუფლება ფიქრობს, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს თბილისის მოსახლეობასაც, სადაც ხშირია ასეთი რიტორიკა, რომ ყველა თბილისში ჩამოდის სასწავლებლად. ხელისუფლება ამით თბილისელების გულს მოიგებს და აქცენტს გააკეთებს იმაზე, რომ ყველა კი არ უნდა სწავლობდეს უმაღლეს სასწავლებელში, არამედ უნდა სწავლობდეს პროფესიულში, რაც დასაქმებისათვის კარგია. რაც შეეხება გერმანიას, სიმონ ჯანაშია ამბობს, რომ გერმანიაში პრობლემა სწორედ ისაა, რომ სტუდენტების 50% უარს ამბობს უმაღლეს განათლებაზე და მიდის პროფესიულ სასწავლებელში. ამდენად, გერმანიაში უმაღლესი განათლების მსურველთა რიცხვი დაბალია.**

**მანანა ნოზაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში „გაზპრომის“ წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად „ცოცხალ ჯაჭვს“ გააბამენ

**„გაზპრომთან“ საქართველოს ხელმძღვანელობის მოლაპარაკების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 6 მარტს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობიდან იმ შენობამდე, სადაც განთავსებულია რუსეთის ინტერესების სექცია თბილისში შვეიცარიის საელჩოსთან, გაიჭიმება „ცოცხალი ჯაჭვი“ იმ ადამიანებისგან, რომლებსაც არ სურთ საქართველოს დაბრუნება „უკან, რუსულ წყვდიადში“. ამის შესახებ 24 თებერვალს სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადეს საქართველოს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.**

**„გაზპრომთან“ საქართველოს ხელისუფლების მოლაპარაკებათა მოწინააღმდეგეების აქცია გრძელდება**

„საქართველოს ხელისუფლება მალავდა იმას, რომ აწარმოებდა მოლაპარაკებას „გაზპრომთან“ და ამის შესახებ ცნობილი გახდა რუსეთის მხრიდან. გვინდა, მკაფიოდ განვაცხადოთ, თუ რას ნიშნავს „გაზპრომის“ დაბრუნება. ეს არის დაბრუნება უკან, წყვდიადში, ეს არის გაყინული და დაბინდული საქართველო, ამიტომ ჩვენ საზოგადოების ყველა იმ წევრთან ერთად, რომლებსაც არ სურთ ჩვენი ქვეყნის უკან დაბრუნება, ვაანონსებთ პროტესტის სიმბოლურ აქციას. მისი ამოცანა იქნება — მივიტანოთ ჩვენი ხმა საქართველოს მთავრობამდე და ვაგრძნობინოთ რუსეთის მთავრობას, რომ საქართველოში „გაზპრომის“ ეპოქა და რუსეთის სიბნელე დამთავრებულია“, — განაცხადეს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში და ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროტესტი მშვიდობიანი ხასიათისა იქნება.

შეგახსენებთ იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება აწარმოებს მოლაპარაკებას „გაზპრომთან“, რაც ცნობილი გახდა გასულ შემოდგომაზე პრესრელიზიდან, რომელიც რუსეთის მხარემ გაავრცელა. ოპოზიციამ გამოთქვა შიში, რომ „გაზპრომთან“ თანამშრომლობა წაართმევს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას, „გაზპრომთან“ გარიგების მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ დღემდე ხელისუფლებამ ვერ შეძლო წარმოედგინა ვერც ერთი „დამადასტურებელი არგუმენტი“, რომელიც დაადასტურებს მოლაპარაკების წარმოების აუცილებლობას რუსეთთან. იგი ადრე გაზს იყენებდა პოლიტიკური შანტაჟის სახით. მაგალითად, 2006 წელს მოსკოვმა საქართველო ქვეყნებს შორის პოლიტიკური გამწვავების ფონზე უგაზოდ დატოვა (რუსული ვერსიით — „ავარიის შედეგად“).

## ხელისუფლების არგუმენტები

**რაც შეეხება ხელისუფლების არგუმენტებს იმ მიზეზებთან დაკავშირებით, რის გამოც აუცილებელი გახდა მოლაპარაკება „გაზპრომთან“, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ჯერ ახსნა ეს იმით, რომ საქართველო ცდილობს, გაზის მიმწოდებელთა დივერსიფიცირებას. მოგვიანებით კალაძემ განაცხადა, რომ მოლაპარაკება შეეხება გაზის შესყიდვას მხოლოდ კომერციული სტრუქტურების მიერ. ამას გარდა, მინისტრის თანახმად, საკითხი შეეხებოდა გაზის მოცულობის გაზრდას, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გავლით მიეწოდება სომხეთს. ენერგეტიკის მინისტრის უკანასკნელი ვერსიით, რუსეთი უარს აცხადებს, მისცეს საქართველოს გაზი სომხეთში ტრანზიტისათვის და ამის ნაცვლად სთავაზობს ფულად გადასახადს. ასევე, კალაძის თანახმად, 2012 წლიდან საქართველოში ბუნებრივი გაზის მოხმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად საქართველო მოითხოვს დამატებით მოცულობებს, რაც, როგორც საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, აზერბაიჯანს ტექნიკური მიზეზების გამო არ შეუძლია 2019 წლამდე.**

ამავე დროს, აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მზად იქნებიან, განიხილონ საქართველოს გაზის მოთხოვნაზე გაზრდილი მოხმარების ანაზღაურების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკების წინააღმდეგ გამოდის ყველა ოპოზიციური პარტია, რომლებიც წარმოდგენილი არიან საქართველოს პარლამენტში, ყველაზე აქტიურობით გამოირჩევა სააკაშვილის პარტია — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. როგორც ექს-პრეზიდენტის პარტია ამტკიცებს, საქართველო გადავიდა რუსულ გაზზე თითქოსდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის დაინტერესებით, რომელიც, როგორც ოპოზიცია ამტკიცებს, მიუხედავად ნებაყოფლობითი წასვლისა თანამდებობიდან, კვლავ მართავს ქვეყანას კულისებს მიღმიდან. როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამტკიცებს, ივანიშვილი დღემდე არის „გაზპრომის“ აქციონერი და ფლობს ამ რუსული კომპანიის აქციების ერთ პროცენტს.

როგორც 21 თებერვალს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა, რუსეთის ძველი მიზანია, მიიღოს ენერგეტიკული ბერკეტები და დააბრუნოს „გაზპრომი“ საქართველოში.

## „პოლიტიკური შანტაჟი“

**რომან გოცირიძე, „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი, წარსულში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, მიიჩნევს, რომ ახალი გარიგების გაფორმება „გაზპრომთან“ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია.**

უწინარეს ყოვლისა, ამბობს ექსპერტი, „გაზპრომი“ გაზის არასაიმედო მიმწოდებელია, ვინაიდან ეს ორგანიზაცია კომერციული მიზნების გარდა, გოცირიძის სიტყვებით, ასრულებს სხვა ფუნქციებსაც, ესე იგი ახორციელებს პოლიტიკურ შანტაჟს კრემლის მითითებათა თანახმად. გოცირიძემ შეახსენა ამის შესახებ საქართველოს, როდესაც გაზის გამორთვის შემდეგ „გაზპრომმა“ განაახლა მიწოდება ზუსტად 25 დღის შემდეგ.

რაც შეეხება რუსეთის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის უარის შემთხვევაში ახალ პირობებზე „გაზპრომი“ დაიწყებს გაზის მიწოდებას სომხეთში ირანის გავლით, რაც, ექსპერტის აზრით, „სრული აბსურდია“. მხოლოდ ტექნიკურად ირანიდან ახალი გაზსადენის მშენებლობისათვის, რამაც უნდა უზრუნველყოს სომხეთის გაზრდილი მოთხოვნები, საჭირო იქნება 4-5 წელი. თუმცა პრობლემა, ექსპერტის სიტყვებით, მხოლოდ ეს როდია. ირანის გაზი ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე რუსეთისა: იმ დროს, როდესაც სომხეთი რუსეთისგან ღებულობს 1000 კუბურ მეტრს 160 დოლარად, მაგალითად, ირანი 1000 კუბურ მეტრს აწვდის თურქეთს 400 დოლარად.

ექსპერტი თანხმაა იმაზე, რომ საქართველოში გაზის მოხმარება იზრდება, მაგრამ, მისი სიტყვებით, აზერბაიჯანს აქვს შესაძლებლობა აანაზღაუროს დეფიციტი და ამ ეტაპზე არ არის აუცილებელი გაიზარდოს საქართველოს ენერგოდამოკიდებულება გაზპრომზე, რომელიც, მისი სიტყვებით, რუსეთის ხელში „ექსპანსიონისტული იარაღია“.

ამას გარდა, ამბობს ექსპერტი, აზერბაიჯანმა განაცხადა, რომ შეუძლია გაზარდოს გაზის მიწოდება, რაც დაფარავს ზამთარში არსებულ დეფიციტს. ასევე, აღნიშნავს გოცირიძე, თუ დღეს საქართველოს ტერიტორიაზე გადის 7 მილიარდი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზი, საიდანაც ტრანზიტისათვის ღებულობს 5 პროცენტს, 2019 წლისთვის, პროექტ „შახ-დენიზ-2“ დამთავრებისთვის, ოდენობა 23 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება, რაც, შესაბამისად გაზრდის გაზის ოდენობას, რომელიც ეკუთვნის საქართველოს ტრანზიტისთვის.



(Georgian Service (RFE/RL)

## დედამიწის ზურგზე



### აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში გამოაქვეყნეს სამხედროების რიცხვი სირიაში „გეგმა ბ“-სათვის

**როგორც აღმოჩნდა, პენტაგონში უკვე დაიანგარიშეს, რომ უშიშროების ზონის შექმნისათვის არაბეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთში აუცილებელია 15-დან 20 ათასამდე ჯარისკაცი. „მზად ვართ კი ჩვენ ახლა ამის სანქციონირებისათვის?“ — შეეკითხა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი სენატს. მისი სიტყვებით, ვაშინგტონს ნებისმიერ შემთხვევაში აქვს სირიაში მოქმედებათა ალტერნატიული გეგმები.**

### მალაიზიაში სასამართლომ ყვითელი მაისურები უშიშროების საფრთხედ მიიჩნია

**ასეთი მაისურის ტარება წარწერით „Bersih“ ქუჩაში დაპატიმრებასთან მიგიყვანს. „Bersih“ მალაიზიის ენაზე ნიშნავს „სუფთას“ — სწორედ ასეთ სახელს ატარებდა ანტისამთავრობო დემონსტრაცია კუალა-ლუმპურში აგვისტოში, როდესაც პროტესტის მონაწილენი მოითხოვდნენ გაესუფთავებინათ მთავრობის რიგები.**




### გამოკვლევა: ისლამური სახელმწიფო ასაფეთქებელი ნივთიერებების კომპონენტებს ღებულობს მსოფლიოს 20 ქვეყნის 51 კომპანიიდან

**ისლამური სახელმწიფოს ბოევიკები ბომბების კომპონენტების დიდ ნაწილს ყიდულობენ თურქეთსა და ერაყში, ნათქვამია ერთ-ერთი ლონდონური საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამოკვლევაში. ტერორისტები განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ბომბების დამზადებისთვის ამონიუმის ნიტრატს, რომელსაც იყენებენ გაპოხიერების სახით.**

### აშშ და ჩინეთი შეთანხმდნენ „მკაცრ“ რეზოლუციაზე ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით

**ქვეყნები მივიდნენ შეთანხმებასთან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტის გამო სასანქციო რეჟიმის გაფართოებასთან დაკავშირებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. დოკუმენტი კენჭისყრაზე შეიძლება გაიტანონ უახლოეს დღეებში.**

### ქურთმა მეამბოხეებმა და ოპოზიციამ მხარი დაუჭირეს სირიაში ზავს

**„დემოკრატიული სირიის ძალების“ ფორმირებებმაც, რომლის ძირითად ნაწილსაც წარმოადგენენ ქურთი მეამბოხეები, განაცხადეს შეთანხმების შესახებ „შეწყვიტონ სამხედრო მოქმედებები ამერიკა-რუსეთის შეთანხმების შესაბამისად“.**

### ორი ფარშავანგი ტურისტებთან სელფის შემდეგ მოკვდა ჩინეთის იუნანის პროვინციაში

**2 ფარშავანგს, რომლებიც ცხოვრობდნენ ქალაქ კუნმინის ველური ბუნების პარკში ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში, შეეშინდათ მას შემდეგ, რაც ტურისტებმა დაიჭირეს ისინი. ცოცხალი ბუნების მოყვარულებს არა მხოლოდ ხელში ეჭირათ ფრინველები, არამედ მას ბუმბულებიც კი ამოაცალეს სუვენირებისათვის. ამ უცნაური გართობის ფოტოგრაფიები გავრცელდა სოციალურ ქსელებში.**

# „ბედნიერი ერის“ შვილთა გოდება




(მეშვიდე გვერდიდან)

ძნელია იმ უბედურების გადმოცემა, რომელიც ეშმაკის ნაშიერებმა დაატეხეს თავს საქართველოს. იავარყვეს ყოველივე ღირებული და მეცნიერებისა და განათლების დამსხვრევით გაუგებრობის კორიანტელი დააყენეს. სულიერების ინკვიზიტორთა უძლეველი ბელადი ლომაია უსირცხვილოდ დასცინოდა ისტორიის ქარტეხილებიდან გამოღწეულ კულტურულ სიმაღლეებს ევროპეიზაციის ცრუ ილუზიებით. ბოროტებამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა ტახტი, ხალხის რისხვამ მის თარეშს საფუძველი გამოაცალა. მოსალოდნელი იყო არსებითი ცვლილებები. სინამდვილეში მოხდა მწარე რეალობის კოსმეტიკური შელამაზება. როდესაც ჩვენს სამშობლოს ქარბორბალამ გადაუარა, სტიქიის პირველი სამიზნე უნივერსიტეტი იყო („ცრურეფორმატორთა“ გატარებული სიმახინჯენი მრავლად არის გაშუქებული პრესაში და ადრე თქმულის გამეორება ზედმეტად მიგვაჩნია).

გამარჯვებულმა ნაცისტებმა ევროპულ სივრცესთან მიახლოების სატყუარათი ძირი გამოუთხარეს, რაც დახვდათ და დაიწყეს გაუგებრობის აგიტაცია. მოხდა გაუგონარი ფაქტი. სიცრუეზე აგებულ სიახლის მთესველებს მეთაურად დაუნიშნეს კომისრის უფლებამოსილებით აღჭურვილი ხუბუა, რომელმაც ქვა ქვაზე არ დატოვა. თანაც წარბშეუხრელად აცხადებდა, რომ მოწოდებული იყო ისტორიული მისიის ხორცშესასხმელად, ქართული განათლება ამოეყვანა ჩამორჩენილობის ჭაობიდან, თვალდახუჭული იმეორებდა „მწიგნობართუხუცეს“ ლომაიას მზაკვრულად და მოუფიქრებლად ნასროლ, გონიერებას მოკლებულ სიტყვებს (ამ განმანათლებლებს მალე დაემატა არანაკლები „სიბრძნით“ დატვირთული შაშკინი, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა სიბნელისაკენ მიმავალი გზა). საბოლოოდ შეგვრჩა „უსწავლელ სწავლულთა“ უგუნურებით აგუგუნებული გაუგებრობა. მათი ღირსეული მემკვიდრენი თითქოს შეცვლილი გარემოების ფონზე აგრძელებენ და იცავენ წინამორბედ მედროვეთა ყველაფრისმცოდნეობის საძრახის პოლიტიკას.

ნაცისტების მარბიელმა შემოსევამ ვანდალური განუკითხაობის კვალი დაგვიტოვა. მხსნელად მოვლენილმა ოცნებამ, სამართლიანობის დაბრუნების იმედი გააჩინა, მაგრამ იმედი მირაჟის შთაბეჭდილებას სტოვებს. ნაცისტების მიღებული კანონები ხელშეუხებლად რჩება. თანამდებობის პირებმა სამართლიანობის აღდგენა საკუთარი კეთილდღეობის სამსახურად გაიგეს და ამით დაკმაყოფილდნენ. ისეთი პოზით გვმოძღვრავენ, მაძღარს მშიერიც რომ მაძღარი ეგონა. რატომ არის შეუძლებელი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რომელიმე ჩინოვნიკის ხილვა? (თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება, დამადასტურებელი საბუთი მაქვს). ამ ძლიერ და ყოვლისშემძლე ფიგურებს შევახსენებ განათლებული ადამიანებისათვის კარგად ცნობილ ფაქტს წარსულიდან. ერთხელ მაკედონიის მრისხანე მეფე ფილიპეს აედევნა ერთი უპოვარი მოწყალების მოთხოვნით. ფილიპემ უთხრა, მეჩქარება, დრო არა მაქვსო. მათხოვარმა შესაშური შეუპოვრობა გამოიჩინა და მიუგო, თუ დრო არა გაქვს, ნუ იქნები ჩემი მეფეო. ფილიპე შეჩერდა, ამოიღო ფული და მისცა აბეზარ მთხოვნელს. ამ ექსკურსის გათვალისწინებით, ჩვენს მინისტრებს და მათ მოადგილეებს შევახსენებ, ფილიპე მაკედონელზე მეტი საქმე აქვთ? (ამას პირადი გამოცდილება მალაპარაკებს, როგორ გამოგვისტუმრეს მე და ჩემი მეგობარი ერთი სამინისტროს შესასვლელი კარიდან. მინისტრისა და მისი მოადგილის გვარ-სახელს არ ვასახელებ, მაგრამ ისე ვითარდება მოვლენები, მომიწევს დასახელება).

ჩვენი წერილის მთავარ მიზანს შეადგენს იმ განუკითხაობის შესახებ საუბარი, რომელიც ნაცისტური რეჟიმის მძვინვარებამ დაგვატეხა თავს. ცრუპატრიოტული იდეებით გალაღებულმა სიცრუის მფრქვეველებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეიარაღებული ძალით აიღეს. ლომაიამ მისი გასაღები ხუბუას გადააბარა. მანაც თავისი პატრონის „ბრძნული“ დავალება პირნათლად შეასრულა და უნივერსიტეტიდან საგულდაგულოდ მოკვეთა განათლებისა და მეცნიერების რეფორმის მოწინააღმდეგენი (აღნიშნული საკითხის უარყოფით მხარეზე საკმაოდ ვრცელი გამოხმაურება არსებობს).

ბარბაროსებმა ბარბაროსული წესრიგი დაამყარეს. შეიარაღებული პოლიციელები საოცარი სიზუსტით იცავდნენ უზენაესი ხელისუფლის ბრძანებას და უნივერსიტეტთან არ აჭაჭანებდნენ შერისხულ პირებს, „მოჯანყენი“ კანონგარეშე პირებად გამოაცხადეს. რეჟიმი მთელი სიმკაცრით მოქმედებდა ნაცისტების დამხობამდე. უმართებულოდ განდევნილებს უნივერსიტეტის კარი გაუღეს მას შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს აკად. ვ. პაპავა, ბევრს აღუდგა შელახული ღირსება და დაუბრუნდნენ მშობლიურ ალმა მატერს, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ამ საკითხში ყველა უსამართლოდ გაძევებული თუ მოძულებული ერთი აზრის არის. ამ დიდად კეთილშობილური გადაწყვეტილების გვერდით, გვაქვს რამდენიმე შეკითხვა, რომელიც შესაძლებელია რექტორის უფლებამოსილებაში არ შედის, მაგრამ უთქმელობა შეუძლებელია.

**დაემხნენ ნაცისტები, ბევრს საუბრობენ სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობაზე, მაგრამ საგანმანათლებლო სფერო მათი თვალთახედვის გარეთ არის დარჩენილი.**

სიცრუის მქადაგებელ „რეფორმატორებთან“ კითხვის დასმას აზრი არ ჰქონდა, ჩვენ ვიმკიდით უღირსთა დანთხეულ გესლს და შხამს. როდესაც უნივერსიტეტში ნაცისტები გაბატონდნენ, მიიღეს ნაცისტური რეჟიმის ამსახველი უკეთური კანონები. თანამშრომელთა იმ ნაწილს, რომლებმაც „რეფორმებს“ მხარი დაუჭირა, ინდულგენციის სახით გადაეცათ დამსახურების სიგელები. მოწინააღმდეგენი გამოაცხადეს „მოჯანყეებად“და განდევნეს, როგორც „ხულიგნები“ (სააკაშვილის რეფორმირებული სასამართლო მსჯელობდა ხანდაზმული პროფესორების ხულიგნობის დამტკიცებას. სასაცილო იყო (თუ სატირალი არა) საბოლოო ვერდიქტი: წვრილმანი ხულიგნობა. ადამიანები, რომლებსაც ძალიანაც რომ მოენდომებინათ, ხულიგნობის არავითარი მომაცემები არ გააჩნდათ, აღმოჩნდნენ ქუჩაში (მაგრამ სიგელის ფლობის მიუხედავად, საბედნიეროდ, ვერ გახულიგნდნენ).

სამართლიანობის მოთხოვნით გამოსულები უსამართლოდ მოკვეთეს, მაგრამ შეცვლილმა ხელისუფლებამაც ლომაია-ხუბუას ვერდიქტი უცვლელად დატოვა.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რომლის პირველ შემადგენლობაში ორთოდოქსი ნაცისტები შედიოდნენ (მათ ადგილზე დღეს სხვები ნებივრობენ), რატომ არ ღალატობენ სიმართლის გამრუდებულ ხედვას? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კანონის ორი კატეგორია არსებობს, ღვთაებრივი და ადამიანების მიერ შედგენილი. ადამიანების მიერ დაწერილი კანონები რეგულარულად იცვლება. უცვლელია ღვთაებრივი კანონები. ძლიერნი ამა ქვეყნისანნი როგორც მოესურვებათ, ისე ირგებენ კანონებს. ჩვენთან მიმართებაში რა ისეთი ხელთუქმნელი, ღვთაებრივთან გათანაბრებული კანონები დაგვიტოვეს ნაცისტებმა, რომელთა გადაადგილებასაც ღმერთი არ გვაპატიებს? მრავალჯერ ნათქვამს გავიმეორებ, ნაცისტებმა თავიანთ მეტაშე-მეფანდურეებს ამაგი დაუფასეს, დამსახურების ჯილდოები ჩამოურიგეს. დღესაც ხომ ისინი არ არიან. რატომ ხდება, რომ პრივილეგირებულები მხოლოდ ისინი არიან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ანტიეროვნულ ცრუ რეფორმებს? ყველა აღიარებს, რომ ლომაია-ხუბუას ევროპეიზაცია იყო ბლეფი და მეტი არაფერი. ვინც წინააღმდეგი იყვნენ, ხომ აღმოჩნდნენ მართლები. სიმართლის მსახურებს ასე არ ეპყრობიან. სად ვეძებოთ სამართალი. ადამიანები ათეულობით წლები ემსახურებოდნენ ქართულ განათლებას, მათი ბიოგრაფიიდან საერთოდ ამოშალეს ყველაფერი და გაუთანაბრეს იმათ, რომლებიც საკუთარ სამზარეულოებში ისხდნენ და სადილ-ვახშმების მომზადებით იყვნენ დაკავებულნი.

ნაცისტებმა ცრურეფორმების მოწინააღმდეგე პროფესორი და ის ადამიანი, რომელსაც თავის სიცოცხლეში არაფერი გაუკეთებია, გაათანაბრეს. შექმნეს საპენსიო ანაზღაურების ისეთი ფორმა, რომელიც არ ასახავს რეალობას. განსაკუთრებით თვალშისაცემია ადრინდელი ნამსახურობის სრული უგულებელყოფა. ნაცისტების ბატონობის პერიოდში არჩეულ სრულ პროფესორს (მხარდამჭერს) დაუნიშნეს განსაზღვრული რაოდენობის პენსია. შერისხულები საერთოდ არც გახსენებიათ, თითქოს არც არსებობდნენ (პირდაპირ უნდა ითქვას, ის ადამიანები არც ახალ ხელისუფლებას ახსოვს. დაემხნენ ნაცისტები, ბევრს საუბრობენ სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობაზე, მაგრამ საგანმანათლებლო სფერო მათი თვალთახედვის გარეთ არის დარჩენილი. ბატონებო! ნაცისტებამდელი კათედრის გამგე პროფესორი, ნუთუ არ არის რანგით თანაბარი „რევოლუციის“ შემდეგ არჩეულ პროფესორზე? რატომ დარჩა ძალაში ნაცისტური კანონი? რამდენად სამართლიანად მიაჩნიათ დღევანდელ ერის „მამებს“ პროფესორთა „ჩამოლაბორანტება? (ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის რეალობა, რომ ლაბორანტსა და პროფესორს ერთნაირი პენსია აქვთ). რას გვიპასუხებს ამ ფაქტზე ყოველივეს განმკითხავი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო? რამდენადაც ცნობილია, სიმართლის დამდგენნი მსგავსი „წვრილმანი“ საკითხებით არ ინტერესდებიან, ისინი დიდი პრობლემებისთვის არიან მოვლენილნი (მათ გმირულ საქმეთა შესახებ სხვა სახის საუბარია საჭირო, რაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს). ათი წელია, შესანიშნავად გრძნობენ თავს და რეალობას ირიბად უყურებენ. დადგება თუ არა დრო იმისა, რომ თეთრს დაერქვას თეთრი, შავს — შავი. ქართული განათლების ევროპეიზაციის სიცრუემ, რაც იყო, ისიც გაანადგურა და გაურკვეველ გაუგებრობაში ამოაყოფინა თავი. ეს იმდენად ბუნებრივად მიიჩნიეს, რომ მოქმედ ფიგურებს ხმა არ ამოუღიათ და ახლაც დუმილს ამჯობინებენ. გამოდის, რაც მოხდა კარგი იყო, მაგრამ ეს ხომ თავის მოტყუებაა.

ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲔᲡᲘᲚᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ? ᲜᲣᲗᲣ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲪᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲫᲔᲑᲐᲠᲘ? ᲙᲕᲚᲐᲕ ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ, ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲔᲕᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ. ᲚᲝᲛᲐᲘᲐ-ᲮᲣᲑᲣᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ? ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐ ᲣᲙᲔᲗᲣᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲐᲢᲝᲛᲚᲐᲪ ᲮᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲦᲔᲑᲡ. ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲠᲩᲐᲗ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐ. ᲠᲩᲔᲑᲐ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ „ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲔᲑᲘ“ ᲘᲛᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲛᲐ „ᲕᲐᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ“ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲡ. ᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲯᲔᲠᲐ, ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ.

ნაცისტებმა 35-40-წლიანი მუშაობა (უფრო მეტიც) წყლის ნაყვად ჩაუთვალეს პროტესტანტებს. ლომაია და ხუბუა ქუჩური გარჩევების დონეზე შეურაცხმყოფელი ეპითეტებით ამკობდნენ მათ ნაღვაწს და შესაშური თავდაჯერებით აბუჩად იგდებდნენ (ამის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ ბევრი მათგანის დაწერილი სახელმძღვანელო ახლით არ შეუცვლიათ. მათი ავტორები კი როგორც არასანდონი განათლების მესაფლავეებმა „მგლის ბილეთით“ მოაშორეს უნივერსიტეტს). როგორ მოვიქცეთ? ვინ დაგვიბრუნებს უღირსთა მიერ წართმეულ ღირსებას? (დარწმუნებული ვარ, ნაცისტური გადახრის ორთოდოქს ჩინოვნიკებს, რომელთა ძალმოსილებაც თითქმის ურყევადაა დაცული, ეს სიტყვები არ მოეწონებათ).

მეგობრებო! ვისაც შეგწევთ უნარი, ხმა ამოიღეთ და დადექით სიმართლის დამცველთა რიგებში. კვლავ უნდა გავიმეორო, სანამდე აპირებთ „შედრეკილ შეშინებულთა“ უჩინარ როლში ყოფნას? ნუთუ ათი წელი არ არის საკმარისი გამოსაფხიზლებლად? ისტორია მოთმინების გარდა, ბრძოლასაც გვასწავლის, ბრძოლას სიმართლისათვის. საკუთარი კომფორტის გვერდით, მცირეოდენად ეროვნულმა გრძნობამაც აგიძგეროთ გული, რომ ვალმოხდილი იყოთ შთამომავლობის წინაშე. ჩვენ მხოლოდ ერთი სიცოცხლე გვარგუნა განგებამ და ესეც გვიმცირდება. ვინ იცის, რამდენს გვიწყალობებს უფალი ვატაროთ „ბედნიერი ერის“ ბედნიერი შვილების მძიმე ხვედრი.

ნაცისტების მოყენებული ჭრილობა მკურნალობას საჭიროებს. ვინ არის მკურნალი?



**ᲒᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲘᲐ,**
**პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

ტყვიის სროლა

# „ვერცხლის“ დებიუტი



**უნგრულ დიორში დაიწყო პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატი, სადაც მედლებთან ერთად უფროსებში რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების სამ-სამი ლიცენზიაც გათამაშდება.**

ასპარეზობაში პირველი ახალგაზრდები ჩაებნენ. თავი ისახელა ქუთაისელმა ნინო ხუციბერიძემ, რომელიც მსგავსი შეჯიბრების დებიუტანტია. საკვალიფიკაციო ეტაპზე მან 377 ქულა მოაგროვა და ფინალში მე-5 შედეგით შევიდა. 379 ქულით პირველი იყო რუსი მარგარიტა ლომოვა. გადამწყვეტი ორთაბრძოლებისას (იქ საკვალიფიკაციო შედეგები უქმდება) ხუციბერიძემ 193.7 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა. 198.4 ქულით ჩემპიონი გახდა ფრანგი მატილდა ლამოლე, ხოლო 174.9 ქულით მესამე ადგილი ჩეხმა დენიზა ბეზდეჩმა დაიკავა.

დღეს ევროპის ჩემპიონატში ვაჟები ჩაებმებიან, სადაც ჩვენგან ცოტნე მაჭავარიანი და ლევან ქადაგიძე დადგებიან ცეცხლის ხაზზე. კონტინენტის პირველობა ხვალ ქალთა ტურნირით დასრულდება. ქართველთაგან მედლებისთვის ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე და ლიზი კილაძე იბრძოლებენ. წარმატების შემთხვევაში კილაძეს, მაჭავარიანსა და ქადაგიძეს რიოს საგზურების მოპოვებაც შეუძლიათ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ნინო ხუციბერიძე.**

ჭადრაკი

# დიდოსტატები საათებს დღეს ჩართავენ

**ჩინეთში დღეს დაიწყება მსოფლიო ინტელექტუალური თამაშები, რომლის პროგრამაშიც ჭადრაკს მთავარი ადგილი უკავია. საასპარეზოდ უძლიერესმა დიდოსტატებმა მოიყარეს თავი. 16-16 ქალ-ვაჟი იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის რაპიდში (26-27 თებერვალი, შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად), ბლიცსა (28 თებერვალსა და პირველ მარტს წრიული სისტემით 30 ტურად) და ერთდროულად ორი ფერით თამაშში (2-3 მარტს შვეიცარიული სისტემით 5 ტურად).**



მამაკაცთა ტურნირში ქართველებს წარმომადგენელი არ გვყავს, ხოლო ქალებში, სადაც სახელოვანი მოჭადრაკეები გაუწევენ ერთმანეთს მეტოქეობას, ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი ითამაშებენ. შემადგენლობები კი ასეთია:

**ქალები:** გუნდურში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2558), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2554), ევროპის ორგზის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2529), 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2529), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2511), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2509), გუნდურში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და საჭადრაკო ოლიმპიადების ორგზის გამარჯვებული ჟაო სიუე (ჩინეთი, 2506), გუნდურში მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონი თან ჟონი (ჩინეთი, 2504), გუნდურში მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონი ბელა ხოტენაშვილი (საქართველო, 2502), ევროპის ორგზის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2496), ელიზაბეტ პეტცი (გერმანია, 2472), ირინა კრუში (აშშ, 2458), გუნდურში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და 2004 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ჰუან ქიანი (ჩინეთი, 2450), მსოფლიოს ჩემპიონი ანა უშენინა (უკრაინა, 2450) და მონიკა სოჩკო (პოლონეთი, 2450).

**ვაჟები:** დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2766), პენტალა ჰარიკრიშნა (ინდოეთი, 2753), ლი ჩაო (ჩინეთი, 2751), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2747), დავიდ ნავარა (ჩეხეთი, 2734), ლენიერ დომინგესი (კუბა, 2732), ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი, 2728), რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი, 2727), ვან იუე (ჩინეთი, 2718), ვან ჰაო (ჩინეთი, 2717), რუსლან პონომარიოვი (უკრაინა, 2712), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2710), გაბრიელ სარქისიანი (სომხეთი, 2702), ლორენ ფრესინე (საფრანგეთი 2700), სერგეი მოვსესიანი (სომხეთი, 2653), რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი, 2650).

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# „დნეპრომ“ სანდრო კობახიძე განაცხადში შეიყვანა



**„დნეპრომ“ სანდრო კობახიძე უკრაინის პრემიერლიგის განაცხადში შეიყვანა. ეს იმას ნიშნავს, რომ დნეპრისპირელები ქართველ შემტევს აღარ გაანათხოვრებენ. „დნიპრო“ ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, შევსება კი სრულფასოვანი ვერ მიიღეს და კლუბი უკვე აქეთიქით აღარ ანათხოვრებს თავის ფეხბურთელებს, როგორც აქამდე ხდებოდა.**

კობახიძეზე უკვე ვწერდით, რომ ტრავმა ჰქონდა და მოსამზადებელი პერიოდი გაუცდა. მას მხარი ჰქონდა ამოვარდნილი, მაგრამ ამჯერად ჯანმრთელადაა და მალე შეუერთდება გუნდს. კობახიძე თბილისში მკურნალობდა ეროვნული ნაკრების ექიმთან მერაბ ვარძუკაშვილთან.

* * *

**ჩემპიონთა ლიგა.** „ჰსვ“ – „ატლეტიკო“ 0:0, კიევის „დინამო“ – „მანჩესტერ სიტი“ 1:3.

**გიორგი შოთაძე**



რაგბი

# მაღალანაზღაურებადი კარტერი და გორომარუ

**20 წელზე მეტია, რაც რაგბი პროფესიონალური გახდა და ნელ-ნელა მსოფლიოს წამყვან კლუბებს და მოთამაშეებსაც ფული გაუჩნდათ. მართალია, მათი შემოსავლები ფეხბურთელებისა და კალათბურთელების ანაზღაურებასთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია.**



ფრანგულმა გამოცემა Le Figaro-მ სიტუაცია შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ დღეისათვის პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები ახალზელანდიელი დენ კარტერი და იაპონელი აუიუმუ გორომარუ არიან. პირველი საფრანგეთის ტოპ 14-ის ლიდერ „რასინგში“ 2015 წლის მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ გადავიდა, ხოლო მეორე სუპერ რაგბის ავსტრალიურ კლუბ „რედზში“ თამაშობს. მათი წლიური ანაზღაურება 1,8 მილიონ ევროს შეადგენს.

გავრცელებული ინფორმაციით, წყვილს შესაძლოა ავსტრალიის ნაკრების მორკინალი დევიდ პოკოკი შეუერთდეს, რომელსაც ინგლისური „უოსპსი“ წლიური ანაზღაურების სახით ასევე 1,8 მილიონ ევროს სთავაზობს. უფრო საინტერესო ისაა, რომ თუ გორომარუ „ტულონის“ წინადადებას დათანხმდება, მაშინ პლანეტის მაღალშემოსავლიანი მოთამაშეების სიის თავში სწორედ ის აღმოჩნდება, რადგან ფრანგები მას ხელფასის სახით 2,4 მილიონ ევროს ჰპირდებიან.

ეს მომავლის საქმეა, მანამდე კი მე-3-მე-5 ადგილებს სწორედ „ტულონის“ მოთამაშეები იკავებენ და ათეულში მათი მეოთხე მორაგბეცაა. სულ ტოპ 10-ში ფრანგული კლუბების 6 მოთამაშე მოხვდა, ოღონდ ფრანგი არც ერთი მათგანი არაა. ორი კლუბი ირლანდიურია, თითო-თითო კი – ინგლისური და ავსტრალიური.

**ყველაზე მაღალანაზღაურებადი მორაგბეები:**

**1-2. დენ კარტერი** (ახალი ზელანდია, „რასინგი 92“, საფრანგეთი) – 1,8 მილიონი ევრო,

**1-2. აუიუმუ გორომარუ** (იაპონია, „რედზი“, ავსტრალია) – 1,8 მილიონი,

**3. მეტ გიტო** (ავსტრალია, „ტულონი“, საფრანგეთი) – 1,1 მილიონი,

**4. ლი ჰალფპენი** (უელსი, „ტულონი“, საფრანგეთი) – 770 ათასი,

**5. მაა ნონუ** (ახალი ზელანდია, „ტულონი“, საფრანგეთი) – 770 ათასი,

**6. ჯონათან სექსტონი** (ირლანდია, „ლენსტერი“, ირლანდია) – 643 ათასი,

**7. ჩარლი პიუტაუ** (ახალი ზელანდია, „ოლსტერი“, ირლანდია) – 643 ათასი,

**8. ბრაიან ჰაბანა** (სამხრეთ აფრიკა, „ტულონი“, საფრანგეთი) – 610 ათასი,

**9. მანუ ტუილაგი** (ინგლისი, „ლესტერ თაიგერზი“, ინგლისი) – 578 ათასი,

**10. კოლინ სლეიდი** (ახალი ზელანდია, „პო“, საფრანგეთი) – 570 ათასი.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# ბრაიანტი: ჯექსონმა მითხრა, სხვების გამო არასოდეს შეგცვლილიყავი



**„ლეიკერზის“ ლეგენდამ კობი ბრაიანტმა Sports Illustrated-თან საუბრისას ახალგაზრდულ წლებში მისი და პოპის „მეფის“ მაიკლ ჯექსონის შეხვედრა გაიხსენა.**

„როცა პოპულარობა მოვიდა, ჩავფიქრდი და ძალიან სერიოზული გავხდი. შემდეგ ჯექსონმა მითხრა, რომ დავრჩენილიყავი ის, ვინც ვიყავი და სხვების გამო არასოდეს შევცვლილიყავი“ – განაცხადა ბრაიანტმა, რომელიც წლეულს ამთავრებს შთამბეჭდავ კარიერას.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## სანთელი

# გურამ ქარქაშაძის ნათელ ხსოვნას



26 თებერვალი გურამის დაბადების დღეა. იგი დღეს 70 წლისა გახდებოდა. ბრწყინვალე ქართველი, სამშობლოს, ერის, ხალხის მოჭირნახულე, შესანიშნავი იურისტი, სამართლიანობითა და უმაღლესი პროფესიონალიზმით გამორჩეული გენერალ-ლეიტენანტი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დღესაც სამაგალითო პიროვნებად რჩება კოლეგათა დიდი არმიისათვის.

ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ ბატონი გურამ ვალერიანის ძე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორიც ბრძანდებოდა. ვინც ერთხელ მაინც მოხიბლულა მამაპაპური სუფრის გაძღოლის მისეული უნარითა და მხატვრული პროგრამით, ამაში უყოყმანოდ დაგვეთანხმება.

ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება კაცზე, როგორც ლამაზი ოჯახის მამაზე, მეუღლეზე, ბაბუაზე, ჭეშმარიტ მეგობარსა და ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებელზე.

მართლაც რომ დასანანია, ასეთ ძვირფას მამულიშვილთან ასე ნაადრევად რომ მოგვიხდა გამოთხოვება.

ნათელი და სანთელი, ძმაო!

მეგობრების სახელით:
**თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მიხეილ სალაძე, რამაზ ხეცურიანი, თემურ მურღულია, შოთა ასათიანი, ნოდარ ბოლოთაშვილი, ზურაბ გოგოხია, გია ლოლაძე, თემურ კუჭუხიძე, ზურაბ მსხვილაძე.**

## სანთელი

# გია გიორგობიანის გახსენება



ვის გააკვირვებ თამადების სამშობლოში თანამეინახეთათვის სიამოვნების მინიჭების უნარით. ბატონი გია გიორგობიანი ამ მხრივ მაინც სხვა იყო.

დიდი პიროვნული ტრაგედიის მიუხედავად, ეს სულით უტეხი ვაჟკაცი ჩვეული ჟინით განაგრძობდა მოღვაწეობას მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პროკურორად და დასევდიანებული ოჯახის ღირსეულ ბურჯად რჩებოდა.

განსაკუთრებული თემაა სამეგობროში მხრებგაშლილი ჩვენი გია ავთანდილის ძე გიორგობიანის გახსენება.

დღეს მისი 70 წლის იუბილეზე ქალბატონი ნელი კიდევ ერთხელ დანამავს ალალი ცრემლით ძვირფასი მეუღლის წმინდა საფლავს, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვინატროთ, რომ სამშობლოს არ მოჰკლებოდეს ბატონი გიას მსგავსი ქართველები.

მეგობრები
**თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მიხეილ სალაძე, რამაზ ხეცურიანი, თემურ მურღულია, შოთა ასათიანი, ნოდარ ბოლოთაშვილი, ზურაბ გოგოხია, გია ლოლაძე, თემურ კუჭუხიძე, ზურაბ მსხვილაძე.**

## ავარია



### შეჯახების შედეგად 20 წლის ჭაბუკი დაიღუპა

**ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში ავტომანქანის შეჯახების შედეგად 20 წლის ბიჭი დაიღუპა.**

**ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს.**

**შსს-ში არ ადასტურებენ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ავტომობილს, რომელიც ახალგაზრდა მამაკაცს შეეჯახა, პოლიციის თანამშრომელი მართავდა.**

**„ამ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ. ყველაფერს გამოძიება დაადგენს“, — აცხადებენ შსს-ში.**

**თენგიზ მენთეშაშვილი, გივი ანჩაბაძე, დალი ბოჯგუა, ალეკო გოცირიძე, ნელი გურგენიძე, გურამ დიდბარიძე, ლევან დოლიძე, გივი თალაკვაძე, თემურ თოფურიძე, აბესალომ იმედაშვილი, ავთანდილ კანდელაკი, ედუარდ კანდელაკი, ვახტანგ კიკნაძე, ჯემალ კუხალაშვილი, ნათელა ლაღიძე, ნიკო ლეკიშვილი, ლია ლომიძე, ზაურ მესხიშვილი, ნიკოლოზ ნეფედოვი, კოტე ჟღენტი, დავით სალარიძე, თამაზ ტუღუში, მიშა წულაძე, გოგი ციბაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან კოლეგისა და მეგობრის**

### ედუარდ ვასილიევის

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. სამოქალაქო პანაშვიდი 25, 26 II, 16 სთ. დაკრძალვა 27 II, 14 სთ. მისამართი: სულხან ცინცაძის ქ. №28 (ყოფილი საბურთალოს ქ. №40).**

---

**საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანი გენერლები გურამ გვეტაძე, შოთა გორგოძე, რომან გვენცაძე, სანდრო კავსაძე (არქიმანდრიტი ილია), დემურ მიქაძე, ჯემალ გახოკიძე, ჯემალ ჯანაშია, გივი ლობჟანიძე, შენგელი ფიცხელაური, ედუარდ გენძეხაძე, დავით ზეიკიძე, თემურ მურღულია, შაქრო ცინცქალაძე, ზურაბ ჩხაიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, გენერალ-მაიორი**

### ედუარდ ვასილიევი

**და თანაუგრძნობენ ოჯახს.**

## სანთელი

# ბადრი ფაცაციას ხსოვნას

ო, როგორ გვიჭირს შენზე წარსულში საუბარი. თავი ჯერ კიდევ სიზმარში გვგონია. 51 წლის ასაკში მარადიულ გზას დადგომიხარ, ჩვენო ბადრი. დიდი პატრიოტი, სამშობლოზე და ერზე უსაზღვროდ შეყვარებული, თავმდაბალი, კეთილშობილი, სინდის-ნამუსით სავსე, საამაყო შვილი დედისა, მოსიყვარულე მეუღლე და მამა, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა — ასე გახასიათებენ ბადრი არამარტო შენი ნათესავები, მეგობრები და მეზობლები, არამედ ყველა, ვისთანაც ოდნავი შეხების წერტილი გქონია. გვენანები, ყველას ძალიან დაგვწყვიტე გული. ერთად გატარებული თითოეული წამი თითოეული ჩვენგანისთვის — შენი მეგობრებისთვის დიდ გულისტკივილთან ერთად ტკბილად მოსაგონარიც იქნება.

გემშვიდობებით ძმაო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი მშობლიური მიწა.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ამინ!

**„ევროკონდიტერის“ თანამშრომელთა სახელით**
**გიორგი ლაგვილავა**

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

## ჩვენი კარაბადინი

**სიცივეში გულის სისხლძარღვთა დაავადებათა ალბათობა მატულობს, ამდენად, იანვარ-თებერვალი ამ თვალსაზრისით, ყველაზე სახიფათო დროა. რა არის ამ საფრთხის მიზეზი და როგორ შეგვიძლია პრობლემების თავიდან აცილება?**

ცოტა ხნის წინათ ამერიკელმა მკვლევარებმა ქვეყნის სხვადასხვა კლიმატის მქონე შვიდი შტატის სტატისტიკა გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ **ყველა მათგანში ზამთარში, ზაფხულის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, გულის სისხლძარღვთა დაავადებათა მიზეზით სიკვდილიანობა, საშუალოდ, 26-დან 36 პროცენტამდე იზრდება.** ეს მონაცემები სრულ თანხვედრაშია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-70-იან წლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებთან, რომელთა თანახმად, **ინსულტების შედეგად სიკვდილიანობის დონე ყველაზე მაღალია ზამთარში (31,2 პროცენტი) და შემოდგომაზე (26,9 პროცენტი), თანაც ყველაზე საგანგაშო თვეებია თებერვალი (11,4 პროცენტი) და ნოემბერი (9,3 პროცენტი).**

პორტუგალიელმა მეცნიერებმა კი გამოარკვიეს, რომ **ჰაერის ტემპერატურის ცელსიუსის ერთი გრადუსით კლებაც ჩვეულებრივი ინსულტის ალბათობას 3,9 პროცენტით, კარდიოემბოლიური ინსულტისას კი** (რომელიც გულში წარმოშობილი ტრომბის თავის ტვინში მოხვედრის შედეგად წარმოიშვება — **რედ.**) **სულაც 5 პროცენტით ზრდის.**

გამოდის, რომ ამ თვალსაზრისით სახიფათო სეზონი ჯერჯერობით არ დასრულებულა, ამდენად, დამატებითი სიფხიზლის გამოჩენა ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ პრობლემების მქონე ხალხისთვის, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თანაც გარკვეული რჩევების გამოყენება მომავალშიც შეიძლება.

### ოთხი ჰიპოთეზა

**რატომაა, რომ ზამთარში გულსა და სისხლძარღვებს გარკვეული „გასაჭირი ადგათ“? ამის თაობაზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს.**

1. შედარებით ცივ ამინდს შეუძლია სისხლძარღვთა შევიწროების პროცესის გაძლიერება და არტერიული წნევის აწევა. ორივე მათგანი კი ინსულტის რისკის ფაქტორია.

# ინსულტის სეზონი



2. როგორც წესი, ზამთარში ხალხი ჯანმრთელობას ნაკლებად უფრთხილდება, ვიდრე ზაფხულში. ამ დროს ჩვენ უფრო ძნელად მოსანელებელ საკვებს ვიღებთ, მეტ ალკოჰოლს მოვიხმართ, ნაკლებს ვმოძრაობთ. ყველაფერი ეს კი თრომბების წარმოქმნის დამატებით პირობებს ჰქმნის.

3. სიცივის ზემოქმედებით იცვლება **სისხლის მიმოქცევაზე პასუხისმგებელი მეაზომოტორული ცენტრების მოქმედება. ასევე დადგენილია, რომ სისხლძარღვთა აშლილობებისადმი უფრო მგრძნობიარენი ის ადამიანები არიან, რომლებსაც თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევები აღენიშნებათ, რომლებიც ამინდის მკვეთრი ცვლილებების დროს წარმოიშვებიან.**

4. ზამთარში ჩვენი ორგანიზმი გამუდმებით განიცდის ტემპერატურულ რყევებს. როცა ცხელა, კაცი ინტენსიურად ოფლიანდება, რასაც სითხისა და ელექტროლიტების დაკარგვა ახლავს. ეს კი, თავის მხრივ, სისხლის შესქელებას იწვევს, თრომბოზების წარმოშობის რისკს ზრდის, შეუძლია არითმიის პროვოცირება. თუ ადამიანი მუდმივად თბილ ოთახში იმყოფება, შემდეგ გარეთ გადის, სიცივისგან სისხლძარღვები ვიწროვდება და ინსულტიც სწორედ მაშინ ხდება.

### გული დახმარებას ითხოვს

სამწუხაროდ, მეტეოროლოგიური ფაქტორები კონტროლს პრაქტიკულად არ ექვემდებარება — ჩვენ მხოლოდ ამინდის პროგნოზისთვის შეგვიძლია თვალყურის მიდევნება, თუმცა კი მასზე ზემოქმედება არ შეგვიძლია. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამდევი ავადმყოფობებისთვის ყურადღების მიქცევა. **ზამთრში, სხვა მიზეზებთან ერთად ისინი მრავალჯერადად ზრდიან ინსულტისა და გულის სისხლძარღვთა სხვა დაავადებათა რისკს.**

**კერძოდ, საჭიროა თვალყური ვადევნოთ არტერიული წნევის დონესა და მერყეობას.** თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინსულტის რისკ-ფაქტორია არა მარტო მისი მომატება, არამედ შესაბამისი პრეპარატების მეშვეობით მკვეთრად შემცირებაც, ამიტომაც მათი მოხმარებისას აუცილებელია ექიმის რეკომენდაციების გათვალისწინება.

**ყურადღებით უნდა იყოთ გულის მუშაობისა და არითმიების წარმოშობისადმი. არაკონტროლირებადი მოციმციმე არითმია, თავისთავად, ინსულტის რისკს 5-ჯერ, ზოგ შემთხვევაში კი 15-ჯერ ზრდის.** აქედან გამომდინარე, ამინდის ფაქტორებთან ერთად, იგი შენელებული მოქმედების ნაღმად იქცევა. თუკი ის დაგიდგინეს, მკურნალობა აუცილებელია! დღესდღეობით პაციენტებს სისხლის გამთხევადებელ საგანგებო პრეპარატებს უნიშნავენ, რომლებიც ხელს უშლიან თრომბების წარმოშობას და ინსულტის რისკს 60 პროცენტით ამცირებენ.

ამის გარდა, **ზამთარში საჭიროა აქტიურად მოძრაობა, საკუთარი ძალ-ღონის შესაბამისი ფიზიკური დატვირთვა,** ხილ-ბოსტნეულით მდიდარი გაწონასწორებული დიეტის დაცვა.

**თუ თბილი ოთახიდან ქუჩაში გადიხართ, ამას უცბად ნუ გააკეთებთ, კარგი იქნება, თუკი ცოტა ხნით კიბის ბაქანზე, ან სადარბაზოში შეყოვნდებით.** ამ შემთხვევაში ტემპერატურის დაწევა თანდათანობით მოხდება, შესაბამისად, სისხლძარღვებსაც სიცივისადმი შესაგუებლად მეტი დრო ექნებათ.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

## ქორწილია, ქორწილი!..



**უცხოელთა შორის, რომლებზეც ქორწინებიდან საქართველოს მოქალაქეები, პირველ ადგილზე რუსეთელები არიან.**

2015 წლის დამდეგიდან რუსეთელი ქალბატონი 891 ქართველმა მამაკაცმა შეირთო ცოლად. **აზერბაიჯანის** მოქალაქეებზე იქორწინა 222 კაცმა. ოდენობით შემდეგ მოდიან ქალბატონები **სომხეთიდან** (188), **უკრაინიდან** (175), **ამერიკის შეერთებული შტატებიდან** (30) და სხვა.

რუსეთელები საქართველოში ასევე ყველაზე მეტად სასურველი ქმრები არიან – შარშან მათ 465 ქართველი მანდილოსანი გაჰყვა ცოლად. მეორე ადგილებზე არიან **თურქეთის** (186), **აზერბაიჯანის** (105), **საბერძნეთის** (96), **სომხეთის** (63) და სხვა ქვეყნების მოქალაქეები.

## სახე თუ ტანი?

**მამაკაცები, რომლებსაც ქალთან სერიოზული ურთიერთობების გაბმა სურთ, პირველ ყოვლისა მის სახეს აფასებენ. ეს დასკვნა ამერიკელმა მეცნიერებმა რიგი გამოკვლევის შედეგად გამოიტანეს.**



ტესტებისთვის მოხალისე სტუდენტები შეარჩიეს, რომლებსაც თავიანთი პირადული ცხოვრების გეგმების შესახებ უნდა ეამბნათ. ამის შემდეგ მათ აჩვენებდნენ ქალების ფოტოებს, რომელთა სხეულის ცალკეული ნაწილები ქაღალდით იყო დაფარული. ახალგაზრდებს შეეძლოთ ლამაზმანის მარტო ან სახე, ან ტანი დაენახათ. შედეგად დადგინდა, რომ მათ შორის უმრავლესობა, ვისაც მანამდე ქალთან სერიოზული ურთიერთობების დამყარებაზე არ უფიქრია, მეტ ყურადღებას აქცევდა ტანს, ოჯახის შექმნაზე მოფიქრალები კი უფრო მეტად სახეს აკვირდებოდნენ. სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ თუკი პაემნის დროს მამაკაცი ქალის ტანს ათვალიერებს, ეს მისი განზრახვების არასერიოზულობაზე მიანიშნებს, ხოლო, თუ იგი უფრო მის სახეს აკვირდება, დიდი ალბათობაა იმისა, რომ რომანტიკული პაემანი, დროთა განმავლობაში, სერიოზულ ურთიერთობებში გადაიზარდოს.

## რატომ კვდება სიყვარული

**ავსტრალიელმა მეცნიერებმა 6500 კაცი გამოკითხეს იმის გასარკვევად, თუ ხასიათის რა ნიშნები იწვევს განქორწინებას.**

რომანტიკულ ურთიერთობათა „მკვლელებს“ შორის აღმოჩნდნენ მოუწესრიგებლობა, სიზარმაცე და მძიმე მატერიალური მდგომა-



რეობა. განქორწინების მთავარ მიზეზებად ორივე სქესის წარმომადგენლებმა სწორედ ეს მიზეზები დაასახელეს. სხვა მიზეზებს შორის ქალები ასახელებდნენ იუმორის არქონასა და საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას. მამაკაცები კი ქალებზე გულს იცრუებენ კიდევ სუსტი სქესობრივი ლტოლვისა და ენაჭარტალობის გამო.

მეცნიერებმა ასევე ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ პარტნიორის შეცვლის სურვილსა და საამისოდ მზადყოფნას უფრო ისინი გამოთქვამდნენ, ვისაც თავი მეტად მიმზიდველი მიაჩნია.

## გახსოვდეს!

**ბრიტანეთის ასთონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა განაცხადეს, რომ გამოკვლევით დადგინდა, რომ ქალებს მამაკაცებზე უკეთ ამახსოვრდებათ ძველი ჩანაფიქრები.**

15-დან 40 წლამდე ასმა ორივე სქესის წარმომადგენელმა თავისი სამომავლო გეგმების შესახებ ტესტები შეავსო და აღმოჩნდა, რომ ქალებმა მამაკაცებზე უკეთ გაართვეს თავი დავალებას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საიდუმლო, შესაძლოა, ქალის ტვინის სტრუქტურის თავისებურებაშია. მაგალითად, ჰიპოკამპი (მეხსიერების ცენტრი), მამაკაცებში, ასაკის მატებასთან ერთად, პატარავდება, ქალებისა კი არა. თანაც ქალებს საქმე არა მარტო სამსახურში, არამედ ოჯახშიც ბლომად აქვთ. ამიტომაცაა, რომ ისინი თავის პერსპექტიულ მეხსიერებას მამაკაცებზე გაცილებით ხშირად იყენებენ, მაშასადამე, სულ ავარჯიშებენ.

## მილოცვა

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადებიდან 76 წელს ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს, გამოჩენილ მომღერალსა და უკეთილშობილეს პიროვნებას ბატონ**

**ივიკო საყვარელიძეს.**

ინტერნეტიდან

## მაშას გლებმა არგო

**რუსი მოდელი მაშა ნოვოსელოვა აქამდე სამოდელო საქმითაც ერთობ დაკავებული იყო და მისი კარიერა პოდიუმზე ლაჟღუნითაც წინ მიდიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთ დროს ევროპაში ნაბურთავები ფეხბურთელის ალექსანდრ გლების სარეცელში იკოტრიალა, მისმა გონებამ სულ სხვანაირად დაიწყო მუშაობა.**

არ ვიცით, მართლა გლებთან ბულრაობამ არგო თუ სხვა რამ იყო ამის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ აგერ უკვე ერთი წელია, ეს ჩვენი მაშენკა თამამი ფოტოსესიების ჭეშმარიტი ვარსკვლავი გახდა და კვირა ისე არ გავა, მისმა თვალისმომჭრელი სილამაზის სხეულმა ფოტოსტუდიები რომ არ ააბრჭყვიალოს.

თავად მაშა ნოვოსელოვა თავის ესოდენ სახეცვლილებას იმიჯის ცვლით ხსნის და იძახის, მე უბრალოდ მივხვდი, რომ ჩემს ცხოვრებაში სიახლეების შემოტანა საჭირო და აუცილებელი იყოო. აი, მესმის ქალი! აბა, ზოგიერთს კი არა ჰგავს, სიახლეებს ისე რომ გაურბიან, როგორც გლდანის სამოქალაქო საზოგადოების მიერ ერთხმად არჩეული მაჟორიტარი დეპუტატი – ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს...

**როსტომ რაჭველიშვილი**



რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ცინცხალი ანეკდოტები

**— აბა, გახსენით თქვენი საფულე! — ეუბნება ავტოინსპექტორი მძღოლს.**
**— საფულე თუ საბარგული?**
**— ოჰ, შემეშალა, მუდამ ვაჩქარებ ხოლმე მოვლენებს!**

* * *

**სახლში დაბრუნებულმა ცოლმა თავის ქმარს საწოლში უცხო ქალთან წაასწრო.**
**— ვინ არის ეს ქალი?**
**— ჩემი ექიმია, შენგან გაჩენილი თავის ტკივილის მკურნალი...**

* * *

**— მიხო, შენ ექვსი კანფეტი გაქვს. რამდენი დაგრჩება, თუ ერთს მე გთხოვ?**
**— ექვსი.**

* * *

**ძუჩაში ორი მთვრალი ძამაკაცი მიდის.**
**— მოდი, ვინმეს ვცემოთ! — ამბობს ერთი.**



**— არ გინდა, აქეთ რომ გვცემოს?**
**— კი, მაგრამ რატომ უნდა გვცემოს?**

* * *

**— მოშე, რა დაგემართა? სახეზე ფერი არ გადევს!**
**— წარმოგიდგენია, დილით სასეირნოდ გამოვედი და უცებ ვხედავ, რომ ბორდიურთან ბანკში შეფუთული 100-დოლარიანი ბანკნოტების შეკვრა გდია. ავიღე და სახლში შევბუნდი, მაგრამ რაღაცამ ამაწრიალა, გული ცუდს მეუბნება. მივედი, გადავითვალე და სწორიც აღმოვჩნდი — ერთი კუპიურა აკლია.**

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!